F1294
1921

ხელნაწერის უფლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

№ 14. 20 დეკემბერი, 1921 წელი. № 14.

ამ ნომერში 24 გვერდია.

## „საბჭოების არჩევნები" საქართველოში.

საქართველოს ბოლშევიკებმა მხოლოდ ათი თვის რეპრესიების შემდეგ გაბედეს საბჭოთა არჩევნების დანიშვნა საქართველოში. გაბედეს იმიტომ, რომ ამას თხოულობენ დაჟინებით მოსკოვის დიქტატორები, რომელთა ნების ამსრულებელსა და წვრილფეხა აგენტებს ისინი წარმოადგენენ ჩვენში.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ ახდენენ ამ არჩევნებს და ვინ ახდენს მას?

ამაზე პასუხს მოსკოვის მთავარი აგენტი ბ-ნი სერგო ორჯონიკიძე იძლევა. ის ასე უხსნის არჩევნების მნიშვნელობას თავის პარტიულ ამხანაგებს: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ საქართველოში ხიშტით შემოვედით. ხიშტით შემოსულები კი არავის შეუყვარებია. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ვძულვართ, მაგრამ ჩვენ უნდა მივაღწიოთ განსაზღვრულ მიზნებს. ამისთვის გვაქვს ძალა და აქ ომია, ხოლო ომის დროს შებრალება არ შეიძლება. უნდა მოისპოს მოწინააღმდეგენი"... და შემდეგ: „არავითარი უკან დახევა არ იქნება. არავითარი ნება არ უნდა მისცეთ **მენშევიკებს და მათ ამყოლ მუშებს** სიის წამოყენებისა..., გამოიყენეთ **ყოველივე ძალა** მენშევიკების წინააღმდეგო". დიახ, გამოცხადდა არა არჩევნები, არამედ ბრძოლა მენშევიკებთან, ბრძოლა მთელ ქართველ ერთან, რომელიც გასაცვიფრებელი კლასიკური ერთსულოვნობით იცავს თავის უფლებებს არამკითხე უზურპატორთაგან და კვლავ იმ პარტიას მიჰყვება, რომლის ხელმძღვანელობის ქვეშ ჩაუყარა საფუძველი დემოკრატიულ წყობილებას დამოუკიდებელ საქართველოში.

„მენშევიკების და მის ამყოლ მუშების სიის მიღება დაუშვებელია, მათთვის ლაპარაკის ნების მიცემა მიუღებელია", აცხადებს თავის პირით ეს უდღეური ლიდერი უდღეური კომპარტიისა სავანგებო თათბირზე.

რას ნიშნავს ეს, თუ არა კომპარტიის სრულ სიკოტრის და არარაობის გამომჟღავნებას? რაღას წარმოადგენს ის პარტია, რომლისთვისაც საშიშია გამოჩენა მენშევიკის, საშიშია მისი სახელი და უსიტყვოთ წამოყენებული სიაც კი?!

ამ რიგათ, თვით ბოლშევიკები არ მალავენ, რომ ისინი დამპყრობელები არიან და რომ ისინი ქართველ ხალხს არ უყვარს და არც შეიყვარებს. ამიტომ ისინი საარჩევნო დღის წესრიგში სვამენ ხიშტს და ჩეკას. არჩევნების უფლებას აძლევენ რუსეთის სპეკულიანტებს და ჩამოყვანილ საოკუპაციო ჯარებს.

საარჩევნო უფლებით საქართველოში აღჭურვილია ყველა გარდა ქართველებისა: რუსის წითელ არმიელი, მისი ცოლშვილი და ნათესავები, რომელიც მათ ტომრებით

F 8343

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან დასდევს, რუსის ჩინოვნიკები, დამშეული ვოლგის ნაპირიდან ჩამოსახლებული გლეხები, რომელნიც კომუნისტების ყოველ ბრძანებას ემორჩილებიან, როგორც ძაღლი თავის პატრონს. ქართველებს კი არ შეუძლიათ თავის სიით გამოვიდენ, რადგან ისინი ბოლშევიკების მოწინააღმდეგე არიან და სამშობლოს დამოუკიდებლობას იცავენ.

აი როგორ ხდება საქართველოში არჩევნები უქართველებოთ... ხდება კომედია, რომლითაც მოსკოვის წითელ იმპერიალისტებს და მათ თფილისელ აგენტებს სურთ ქვეყანა შეცდომაში შეიყვანონ. არჩევნების ფალსიფიკაცია მოსკოვისთვის არ არის უჩევი ხილი და იმასვე იმეორებენ საქართველოში!

სოციალ-დემოკრატია ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, მთელი ერის სახელით მოუწოდებს ყველა მუშებს და გლეხებს, ყველა მოქალაქეს — სამარცხვინო ბოძზე გააკრან ასეთი არჩევნები; გამოააშკარავონ მათი სრული სიყალბე და უკუღმართობა. ეს არ შეიძლება კრებაზე ლაპარაკით, სიისთვის სიის დაპირდაპირებით — რადგან ხიშტებმა აკრძალეს ეს ნორმალური წესები, მაგრამ ეს შეიძლება ბოიკოტით, კრებაზე არ გამოცხადებით, საარჩევნო მოედნის სრულ დაცალიერებით.

ეს უფრო ძნელი და რთული საქმეა. კრებით, ლაპარაკით, საბუთებით ადვილათ შეიძლება მასსის სულიერი განწყობილება ასწიო და აღფრთოვანებით აავსო. ბოიკოტის დროს ეს აღფრთოვანება და სულიერი სიმტკიცე უნდა წინასწარ იყოს ხალხის ფართო მასაში, რომ იგი სავსებით განხორციელებულ იქნეს და ნამდვილი დემონსტრაციის ხასიათი მიიღოს.

ამიტომ სოციალ-დემოკრატია, დღემდე ყოველთვის ირჩევდა არჩევნებში მონაწილეობის ტაქტიკას — ვინემ ბოიკოტს; და იგა ზრდიდა მასსებს არჩევნების პროცესში, რაც უნდა მახინჯი ყოფილიყო საარჩევნო სისტემა. ასე იყო ცარიზმის დროს. მაგრამ ეს შეუძლებელი დარჩა დღეს. გარდა იმისა, რომ ყველას, ვინც კრებაზე მივა ან კომუნისტების წინააღმდეგ მისცემს ხმას, სჯიან, მათ გახელებულმა კომუნისტებმა პირდაპირ აუკრძალეს ხმის მიცემა და ლაპარაკი. დღემდე პროფ. კავშირების, თუ კომიტეტების არჩევნებში ქართველი დემოკრატია არ გაურბოდა ბოლშევიკების მახინჯ საარჩევნო წესებს და ყოველთვის იმარჯვებდა არჩევნებში. მაგრამ პასუხათ იღებდა არჩევნების გაუქმებას და ზევიდან დანიშნულ პირთა ბატონობას.

ცხადია, არჩევნებს ეძლეოდა მხოლოდ პოლიტიკური დემონსტრაციის ხასიათი. ახლა ბოლშევიკებმა ესეც აკრძალეს, ამის წინააღმდეგაც ზომები მიიღეს. მოდით და ხმა ჩვენ მოგვეცით, არც ხმის ამოღება, არც წინააღმდეგობა, ასეთია მათი საარჩევნო დებულების მთავარი აზრი; და ქართველი ხალხი უპასუხებს: არც მოვალ არც ხმას მოგცემ. და მაშინ ვნახავთ ვინ არის თქვენი ლაშქარი, თქვენი ამრჩეველი. ამიტომ სოციალ-დემოკრატია, ასრულებს რა ქართველი ხალხის სურვილს აშკარათ აცხადებს: არვინ არ უნდა მივიდეს არჩევნებში, გარდა მოღალატეებისა და მოსყიდულებისა. და მართლაც ქართველი ხალხი ამ უმძიმეს და უძნელეს გამოცდასაც საუცხოვოთ აბარებს. იგი ერთსულოვანია. მასში მოღალატეთა რიცხვი იმდენია, რამდენიც კომუნისტი, ესე იგი თითზე ჩამოსათვლელი.

მუშათა კლასის და მოწინავე გლეხობის მეთაურობით ქართველი დემოკრატია ერთხელ კიდევ თვალსაჩინოთ, საქვეყნოთ, გამოამზეურებს თავის სულიერ სიძლიე-

რეს და მოძალადე კომუნისტების ნამდვილ შავრაზმულ სახეს.

ხიშტი, ჩეკა, ციხე, და სხვა რეპრესიები—აი ერთათ-ერთი იარაღი კომუნისტების. მაგრამ იდეა ხიშტის წვერით არ აღმოიფხვრება. რეპრესიები ვერ მოსპობენ ცხოველმყოფელ იდეის გავლენას. ქართველი ხალხი არ სცნობს საბჭოთა კომუნისტურ ძალა-უფლებას, იგი უარჰყოფს მოძალადეთა მიერ ხელოვნურათ თავზე მოხვეულ რეჟიმს და მალე, სულ მალე თავის მტრების დასამარებით აღადგენს თავის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის წმინდა ტაძარს.

ბოლშევიკები ზევიდან ძალით მოახდენენ „მუშათა, გლეხთა და ჯარის-კაცთა საბჭოების“ არჩევნებს, მაგრამ იგი არ იქნება ქართველი ხალხის მიერ არჩეული და მისი ნებაყოფლობის გამომხატველი. ქართველი ხალხი, ისე როგორც წინეთ ეხლაც მთელი თავისი ძალღონით შეეცდება ფარდა ახადოს მოსკოვის დიქტატორების ოინბაზობას და ყველა ქვეყნის დემოკრატიასა და მუშათა კლასს გადაუშალოს ბოლშევიკური „არჩევნების“ ნამდვილი სახე.

## საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

ჩვენი გაზეთის წარსულ ნომერში დაიბეჭდა მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საქართველოს შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ქ. ბრიუსელში გასული ნოემბრის დამლევს. ეს დადგენილება გამოწვეულია ბოლშევიკების პასუხით, რომლებმაც, როგორც ვიცით, უარჰყვეს ევროპის სოციალისტების წინადადება რათა შერეულ კომისიის ხელმძღვანელობით საქართველოში მომხდარიყო ხალხის დაკითხვა გამოსარკვევათ იმისა, თუ რამდენათ ეთანხმება ქართველი დემოკრატიის სურვილს დღეს ჩვენში არსებული მდგომარეობა და რომელ პოლიტიკურ წყობილებას ირჩევს იგი. ჩვენ ვიცით, რომ ხსენებული წინადადებით მიჩიხული მოსკოვი გაჩუმდა, ხოლო მისმა თფილისელმა აგენტებმა საქართველოს რევკომისა და კომპარტიის ცეკას სახით ამ წინადადებას უარით უპასუხეს.

ამნაირათ, ამაო დარჩა მიმართვა ბოლშევიკების სოციალისტური და დემოკრატიული სინდისისადმი. თავის პასუხით მათ თითონვე აღიარეს, რომ დაპყრობილ ქვეყანას ვერ გაათავისუფლებენ, რომ საქართველოში ისინი მოვიდენ როგორც მოძალადენი და ასეთებათ სურთ დარჩენ ბოლომდი, სანამ ფაქტიურათ ამის საშვალება ექნებათ, ე. ი. სანამ წითელ არმიელთა ხიშტი არ უმტყუნებს მოსკოვის წითელ იმპერიალისტებს.

მეორე ინტერნაციონალს აქედან ღირსეული დასკვნა გამოყავს. ის აღიარებს: 1) რომ საქართველო დაპყრობილ იქნა მოსკოვის ჯარების მიერ, 2) რომ მოსკოვის მთავრობას დანიშნული ყავს საქართველოში ხალხისათვის უცხო ხელისუფლება, რომელსაც მცხოვრებლები მტრულად უყურებენ და 3) მოსკოვის მთავრობა ერთედ-ერთი პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკის დანგრევისათვის.

როგორც მკითხველი ხედავს აქ გამოყვანილია ყველა დასკვნები, რომელიც გამომდინარეობს ბოლშევიკების მოქმედებიდან საქართველოს მიმართ. და ეს დასკვნები გაკეთებულია აშკარათ, მიუკიბ-მოუკიბავათ. მუშათა ევროპა, რომელიც აქამდის ერთგვარი დაზოგვით და მორიდებით ეპყრობოდა ბოლშევიკების მოღვაწეობას და თუ გნებავთ, რამოდენიმეთ გაურბოდა კიდეც მის აშკარა კრიტიკას, დღეს დარწმუნდა მათ იმპერიალისტურ და რეაქციონურ ხასიათში. საქართველოს დაპყრობამ და იქ ბოლშევიკების მიერ შემოღებულმა ტერორის რეჟიმმა საბოლოოთ ნიღაბი ჩამოხადა მოსკოვის იმპერიალისტებს და რევოლიუციონერებისა და სოციალისტების მაგიერ ევროპამ მათში დაინახა მუშათა კლასისა და მცირე ერების უსირცხვილო ჯალათები.

ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

მაგრამ მარტო ამით არ თავდება ხსენებული დადგენილება. მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი არ კმაყოფილდება მარტო ბოლშევიკების მოქმედების დახასიათებით და ცარიელი მოთხოვნილების წამოყენებით სა-

უკან დასდევს, რუსის ჩინოვნიკები, დამშეული ვოლგის ნაპირიდან ჩამოსახლებული გლეხები, რომელნიც კომუნისტების ყოველ ბრძანებას ემორჩილებიან, როგორც ძაღლი თავის პატრონს. ქართველებს კი არ შეუძლიათ თავის სიით გამოვიდენ, რადგან ისინი ბოლშევიკების მოწინააღმდეგე არიან და სამშობლოს დამოუკიდებლობას იცავენ.

აი როგორ ხდება საქართველოში არჩევნები უქართველებოთ... ხდება კომედია, რომლითაც მოსკოვის წითელ იმპერიალისტებს და მათ თფილისელ აგენტებს სურთ ქვეყანა შეცდომაში შეიყვანონ. არჩევნების ფალსიფიკაცია მოსკოვისთვის არ არის უჩვეი ხილი და იმასვე იმეორებენ საქართველოში!

სოციალ-დემოკრატია ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, მთელი ერის სახელით მოუწოდებს ყველა მუშებს და გლეხებს, ყველა მოქალაქეს — სამარცხვინო ბოძზე გააკრან ასეთი არჩევნები, გამოაშკარავონ მათი სრული სიყალბე და უკუღმართობა. ეს არ შეიძლება კრებაზე ლაპარაკით, სიისთვის სიის დაპირდაპირებით — რადგან ხიშტებმა აკრძალეს ეს ნორმალური წესები, მაგრამ ეს შეიძლება ბოიკოტით, კრებაზე არ გამოცხადებით, საარჩევნო მოედნის სრულ დაცალიერებით.

ეს უფრო ძნელი და რთული საქმეა. კრებით, ლაპარაკით, საბუთებით ადვილათ შეიძლება მასსის სულიერი განწყობილება ასწიო და აღფრთოვანებით აავსო. ბოიკოტის დროს ეს აღფრთოვანება და სულიერი სიმტკიცე უნდა წინასწარ იყოს ხალხის ფართო მასაში, რომ იგი სავსებით განხორციელებულ იქნეს და ნამდვილი დემონსტრაციის ხასიათი მიიღოს.

ამიტომ სოციალ-დემოკრატია, დღემდე ყოველთვის ირჩევდა არჩევნებში მონაწილეობის ტაქტიკას — ვინემ ბოიკოტს; და იგა ზრდიდა მასსებს არჩევნების პროცესში, რაც უნდა მახინჯი ყოფილიყო საარჩევნო სისტემა. ასე იყო ცარიზმის დროს. მაგრამ ეს შეუძლებელი დარჩა დღეს. გარდა იმისა, რომ ყველას, ვინც კრებაზე მივა ან კომუნისტების წინააღმდეგ მისცემს ხმას, სჯიან, მათ გახელებულმა კომუნისტებმა პირდაპირ აუკრძალეს ხმის მიცემა და ლაპარაკი. დღემდე პროფ. კავშირების, თუ კომიტეტების არჩევნებში ქართველი დემოკრატია არ გაურბოდა ბოლშევიკების მახინჯ საარჩევნო წესებს და ყოველთვის იმარჯვებდა არჩევნებში. მაგრამ პასუხათ იღებდა არჩევნების გაუქმებას და ზევიდან დანიშნულ პირთა ბატონობას.

ცხადია, არჩევნებს ეძლეოდა მხოლოდ პოლიტიკური დემონსტრაციის ხასიათი. ახლა ბოლშევიკებმა ესეც აკრძალეს, ამის წინააღმდეგაც ზომები მიიღეს. მოდით და ხმა ჩვენ მოგვეცით, არც ხმის ამოღება, არც წინააღმდეგობა, ასეთია მათი საარჩევნო დებულების მთავარი აზრი; და ქართველი ხალხი უპასუხებს: არც მოვალ არც ხმას მოგცემ. და მაშინ ვნახავთ ვინ არის თქვენი ლაშქარი, თქვენი ამრჩეველი. ამიტომ სოციალ-დემოკრატია, ასრულებს რა ქართველი ხალხის სურვილს აშკარათ აცხადებს: არვინ არ უნდა მივიდეს არჩევნებში, გარდა მოღალატეებისა და მოსყიდულებისა. და მართლაც ქართველი ხალხი ამ უმძიმეს და უძნელეს გამოცდასაც საუცხოვოთ აბარებს. იგი ერთსულოვანია. მასში მოღალატეთა რიცხვი იმდენია, რამდენიც კომუნისტი, ესე იგი თითზე ჩამოსათვლელი.

მუშათა კლასის და მოწინავე გლეხობის მეთაურობით ქართველი დემოკრატია ერთხელ კიდევ თვალსაჩინოთ, საქვეყნოთ, გამოამზეურებს თავის სულიერ სიძლიე-

რეს და მოძალადე კომუნისტების ნამდვილ შავრაზმულ სახეს.

ხიშტი, ჩეკა, ციხე, და სხვა რეპრესიები—აი ერთათ-ერთი იარაღი კომუნისტების. მაგრამ იდეა ხიშტის წვერით არ აღმოიფხვრება. რეპრესიები ვერ მოსპობენ ცხოველმყოფელ იდეის გავლენას. ქართველი ხალხი არ სცნობს საბჭოთა კომუნისტურ ძალა-უფლებას, იგი უარჰყოფს მოძალადეთა მიერ ხელოვნურათ თავზე მოხვეულ რეჟიმს და მალე, სულ მალე თავის მტრების დასამარებით აღადგენს თავის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის წმინდა ტაძარს.

ბოლშევიკები ზევიდან ძალით მოახდენენ „მუშათა, გლეხთა და ჯარის-კაცთა საბჭოების“ არჩევნებს, მაგრამ იგი არ იქნება ქართველი ხალხის მიერ არჩეული და მისი ნებაყოფლობის გამომხატველი. ქართველი ხალხი, ისე როგორც წინეთ ეხლაც მთელი თავისი ძალღონით შეეცდება ფარდა ახადოს მოსკოვის დიქტატორების ოინბაზობას და ყველა ქვეყნის დემოკრატიასა და მუშათა კლასს გადაუშალოს ბოლშევიკური „არჩევნების“ ნამდვილი სახე.

# საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

ჩვენი გაზეთის წარსულ ნომერში დაიბეჭდა მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საქართველოს შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ქ. ბრიუსელში გასული ნოემბრის დამლევს. ეს დადგენილება გამოწვეულია ბოლშევიკების პასუხით, რომლებმაც, როგორც ვიცით, უარყვეს ევროპის სოციალისტების წინადადება რათა შერეულ კომისიის ხელმძღვანელობით საქართველოში მომხდარიყო ხალხის დაკითხვა გამოსარკვევათ იმისა, თუ რამდენათ ეთანხმება ქართველი დემოკრატიის სურვილს დღეს ჩვენში არსებული მდგომარეობა და რომელ პოლიტიკურ წყობილებას ირჩევს იგი. ჩვენ ვიცით, რომ ხსენებული წინადადებით მიჩიხული მოსკოვი გაჩუმდა, ხოლო მისმა თფილისელმა აგენტებმა საქართველოს რევკომისა და კომპარტიის ცეკას სახით ამ წინადადებას უარით უპასუხეს.

ამნაირათ, ამაო დარჩა მიმართვა ბოლშევიკების სოციალისტური და დემოკრატიული სინიდისისადმი. თავის პასუხით მათ თითონვე აღიარეს, რომ დაპყრობილ ქვეყანას ვერ გაათავისუფლებენ, რომ საქართველოში ისინი მოვიდენ როგორც მოძალადენი და ასეთებათ სურთ დარჩენ ბოლომდი, სანამ ფაქტიურათ ამის საშვალება ექნებათ, ე. ი. სანამ წითელ არმიელთა ხიშტი არ უმტყუნებს მოსკოვის წითელ იმპერიალისტებს.

მეორე ინტერნაციონალს აქედან ღირსეული დასკვნა გამოყავს. ის აღიარებს: 1) რომ საქართველო დაპყრობილ იქნა მოსკოვის ჯარების მიერ, 2) რომ მოსკოვის მთავრობას დანიშნული ყავს საქართველოში ხალხისათვის უცხო ხელისუფლება, რომელსაც მცხოვრებლები მტრულად უყურებენ და 3) მოსკოვის მთავრობა ერთედ-ერთი პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკის დანგრევისათვის.

როგორც მკითხველი ხედავს აქ გამოყვანილია ყველა დასკვნები, რომელიც გამომდინარეობს ბოლშევიკების მოქმედებიდან საქართველოს მიმართ. და ეს დასკვნები გაკეთებულია აშკარათ, მიუკიბ-მოუკიბავათ. მუშათა ევროპა, რომელიც აქამდის ერთგვარი დაზოგვით და მორიდებით ეპყრობოდა ბოლშევიკების მოღვაწეობას და თუ გნებავთ, რამოდენიმეთ გაურბოდა კიდეც მის აშკარა კრიტიკას, დღეს დარწმუნდა მათ იმპერიალისტურ და რეაქციონურ ხასიათში. საქართველოს დაპყრობამ და იქ ბოლშევიკების მიერ შემოღებულმა ტერორის რეჟიმმა საბოლოოთ ნიღაბი ჩამოხადა მოსკოვის იმპერიალისტებს და რევოლიუციონერებისა და სოციალისტების მაგიერ ევროპამ მათში დაინახა მუშათა კლასისა და მცირე ერების უსირცხვილო ჯალათები.

ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

მაგრამ მარტო ამით არ თავდება ხსენებული დადგენილება. მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი არ კმაყოფილდება მარტო ბოლშევიკების მოქმედების დახასიათებით და ცარიელი მოთხოვნილების წამოყენებით სა-

ქართველოდან რუსის ჯარების გაყვანის შესახებ იგი არ საზღვრავს თავის როლს საქართველოს ტლანქათ გათელილს უფლებათა აღდგენის საქმეში. არა, იგი ეძებს პრაქტიკულ გზებსა და საშუალებებს, რათა პირდაპირი დახმარება გაუწიოს დაპყრობილ საქართველოს. ის ავალებს მე-2 ინტერნაციონალის მომხრე ყველა პარტიებს, რომ ამ უკანასკნელებმა, როცა მათ წინაშე დადგება საკითხი «მოსკოვის მთავრობის ცნობის შესახებ, ანგარიში გაუწიონ იმ მჭიდრო კავშირს, რომელიც არსებობს ამ საკითხსა და საქართველოს დემოკრატიის განთავისუფლების შორის».

მე-2 ინტერნაციონალში კი შედიან: ინგლისის უდიდესი მუშათა პარტია, გერმანიის გავლენიანი პარტია მეუმრავლესეთა, შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც დღეს მთავრობას უდგას სათავეში და სხვ. საქართველოს საკითხში დაახლოვებით ამავე პოზიციას ადგია ვენის ინტერნაციონალი. ჩვენ ვიცით, თუ როგორის თავგამოდებით ესარჩლება საქართველოს საფრანგეთის და შვეიცარიის სოციალისტური პარტიები, გერმანიის დამოუკიდებელნი და სხვები, რომლებიც ვენის ინტერნაციონალსემხრობიან.

ამ ნაირათ, მუშათა ევროპამ საქართველოს საქმე თავის საკუთარ საქმეთ გამოაცხადა. მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ნიშნავს იმას, რომ სოციალისტები ოფიციალური ევროპის მიერ ბოლშევიკების ცნობის საკითხს დაუკავშირებენ საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას და ქართველი ხალხის უფლებათა აღდგენას. ეკონომიურათ სრულიად განადგურებული საბჭოთა რუსეთი, რუსეთი უტრანსპორტო, უპურო, მოკლებული მრეწველობის ნაწარმოებთ და მომწყვდეული პირველყოფილი ადამიანების ცხოვრების პირობებში,—ეს რუსეთი დღეს იძულებულია ემუდაროს ევროპას, რათა უკანასკნელმა ის იცნოს და კრედიტები გაუხსნას. უამისოთ საშინელი კატასტროფა აუცილებელია. დღემდი ბოლშევიკების ცნობას აშკარათ მოითხოვდენ მხოლოდ სოციალისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საბჭოთა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა გაუადვილებს რუსის ხალხს თავისუფლებისთვის ბრძოლას.

და აი, ამიერიდან ბოლშევიკების ცნობის საკითხს მჭიდროთ უკავშირდება საქართველოს საკითხი!

ქართველი ერი და მისი მოწინავე მებრძოლი მუშათა კლასი არ არის განმარტოებული თავის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში. მას გვერდში უდგია და ეხმარება თანამედროვე ევროპის უდიდესი პოლიტიკური ძალა მუშათა პარტიების სახით. ეს დახმარება არ არის არც პლატონიური და არც ეგოისტური. ის გამომდინარეობს პროლეტარიატის კლასიური ინტერესებიდან, რომელიც მას ხდის მცირე ერების უფლებათა გულწრფელ და უანგარო დამცველათ.

ამაშია სწორეთ იმის გარანტია, რომ საქართველო კვლავ აღსდგება, რომ ტყვილად არ ჩაივლის არც სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის დიდი მუშაობა და არც ქართველი ხალხის დღევანდელი თავგანწირული ბრძოლა დამპყრობელების წინაალმდეგ.

წითელ იმპერიალისტებს სურდათ საქართველოს დაპყრობით თავისი მდგომარეობა გაემაგრებიათ, მაგრამ ნამდვილათ მოხდა სულ წინაალმდეგი. მიუხედავათ საშინელი რეპრესიებისა, მათ ვერ გასტეხეს შიგნით ქართველი დემოკრატია, ხოლო გარეთ დაკარგეს ის მცირედი პრესტიჟიც კი, რომელიც მათ ჯერ კიდევ შერჩენილი ქონდათ ევროპის ზოგიერთი წრეების თვალში.

ასეთია საქართველოს ოკუპაციის შედეგი!

## ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

რუსეთის ხიშტების ბატონობამ თავის შედეგი მოიტანა. საქართველოს დამოუკიდებლობის აჩრდილი, რომელსაც დღემდი კიდევ ეპოტინებოდენ მოსკოვის ქართველი აგენტები, უკვე საბოლოოთ თავიდან მოშორებულია. ნამდვილი პატრონი და გადამწყვეტი ერის ბედის—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები სააშკარაოზე გამოვიდენ და თავის განაჩენი გამოუტანეს ამიერ-კავკასიის ერებს: ისინი ფედერატიულათ შეკავშირებულათ გამოაცხადეს. არცერთ რესპუბლიკის მთავრობას ამაში ოფიციალურათ მონაწილეობა არ მიუღია. მათ არც ულაპარაკნიათ ამაზე. მოვიდა—კავბიურო და სამივე სახელმწიფოს მაგიერ ბრძა-

ნა—ამიერიდან თქვენ ერთათ უნდა ბრძანდებოდეთო. მორჩა და გათავდა.

კომუნისტების უკაცრავათპასუხია ჟურნალისტები, ამ გარემოებას «რევოლიუციური» მოსაზრებებით და მოტივებით ხსნიან. «რევოლიუციური» მდგომარეობა მოითხოვდა გაერთიანებას. კავბიურო იმ პარტიების უმაღლესი ორგანოა, რომლის დიქტატურა დღეს მეფობს კავკასიაში და განა მას უნდა ეცადა სანამ ხალხი იტყოდა თავის აზრსო?

ჩვენ ნუ გამოვეკიდებით ამ «რევოლიუციურ» აბდა-უბდას. გავუსინჯოთ კბილები თვით რეალურ ფაქტს და გამოვააშკარაოთ მისი შინაარსი.

საქართველოს რევოლიუციურმა ხალხმა საყოველთაო ხმის უფლებით არჩეული დამფუძნებელი კრების პირით დაადასტურა დამოუკიდებლობა თავის ქვეყნის. ქართველმა ხალხმა ბრძოლით და სისხლით დაამტკიცა, რომ ეს იყო არა ცარიელი სიტყვები, არამედ მტკიცე გადაწყვეტილება და შეურყეველი ნებისყოფა რევოლიუციური დემოკრატიისა.

და მაშასადამე ამ ნებისყოფის ასე ხელაღებით, ასე ცინიკურათ გათელვა, ასე მისი გადაჯეკნა—ეს უდიდესი კონტრ-რევოლიუციური აქტია იმიტომ რომ იგი ეწინააღმდეგება ერის ინტერესებს, მის რევოლიუციურ არსებით ინტერესებს.

რას მოასწავებს მართლაც ეს ახლად გამოცხადებული ფედერაცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების?

პირველ ყოვლისა მათი დამოუკიდებლობის გაუქმებას მათდა დაუკითხავათ, ესე იგი ერთა თვითგამორკვევის — რუსეთის რევოლიუციის უდიდესი ლოზუნგის — უმოწყალოთ ფეხქვეშ გათელვას. იგი გამოუცხადა რუსეთის კომ. პარტიის კავბიურომ—ესე იგი რუსეთის კომ. პარ. ადგილობრივმა წარმომადგენლობამ. ამით აშკარა შეიქნა, რომ ამ რესპუბლიკების ბედს განაგებენ არა რევკომები, არამედ მოსკოვის დიქტატორები.

ამ რიგათ წითელი ხიშტები, რომელნიც იმპერიალისტებათ შემოიჭრენ ამიერ-კავკასიაში საბოლოოთ ახორციელებენ დღეს—თავის შედეგს ამ დამოუკიდებელი რესპუბლიკების ძალით შეერთებას ერთმანეთთან და შემდეგ რუსეთთან. მართალია კავბიუროს ჯერ არ უთქვამს, რომ ეს რესპუბლიკები ფედერატიულათ უერთდება რუსეთს, მაგრამ ეს აზრი ნათლათ გამოსჭვივის კომუნისტურ გაზეთების კომენტარიებიდან. პატარა საბჭოთა რესპუბლიკები მათი აზრით უნდა შეუერთდენ დიდებს და მათთან ერთათ ებრძოლონ მსოფლიო კაპიტალისტურ იმპერიალიზმს, თუნდაც ამ ბრძოლაში სრული გასრესა მოელოდესთ. ასე ბრძანებს კომუნისტების ოქროპირი (იხ. «კომუნ.» № 213. ორგვარი დამოუკიდებლობა).

აქედან ლოღიკური დასკვნა: პატარა ერთა დამოუკიდებლობა უნდა მოისპოს დიდის სასარგებლოთ, პატარა ერი უნდა გაიჭყლიტოს დიდი ერის საკეთილდღეოთ. და ეს იმიტომ, რომ «ჩვენ ვიმყოფებით წითელ რუსეთის და შავ ევროპის საზღვარზე. პირველი მათრახი მოგვხვდება ყოველთვის ჩვენ» ხოლო დამცველი ერთია რუსეთის წითელი არმია!..

ამ რიგათ დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა საბჭოთა რესპუბლიკების ფუჭი ოცნებაა, ისინი პოლიტიკურათ და ეკონომიურათ უნდა გაერთიანდენ.

ასე გაქრა ერთა თვითგამორკვევა. კომუნისტური თეორია გადაიქცა ერთა დაჩაგვრის და გაქელვის თეორიათ. ევროპის ბურჟუაზიის ხსენება საკმარისი შეიქნა, რომ ერს სული ამოართვან მოსკოვის ხიშტებით და ამ სულის ამოწვდას ფარისევლურათ განთავისუფლება და დაცვა უწოდონ.

მაგრამ საერთაშორისო სოციალისტურმა აზროვნებამ დიდი ხანია იცის, რომ ეს შიშველი იმპერიალიზმია, იმპერიალიზმი მით უფრო საზიზღარი, რომ იგი რევოლიუციის წმინდა სახელს ეფარება, ერის დაცვის უმწიკვლო ფირმას იშველიებს თავის ბნელი საქმის შესასრულებლათ. და ეს ბნელი საქმეები კი დღეს ყველასათვის თვალსაჩინოა. იმას, რასაც კეკელმალულობის წესით ფარავენ კომუნისტები ხალხის თვალის ასახვევათ, სამაგიეროთ აშკარათ ამბობს კომუნისტების მომხრე რუსის იმპერიალისტური ინტელიგენცია, რომელიც კომუნისტების ქებაშია. ამ ჯგუფის კრებული «ახალი ვეხი», რომელსაც ზინოვიევი და კომპ. მოსკოვის «პრავდაში» სერიოზულათ ურჩევს სახელმძღვანელოთ ყველა კომპარტიის წევრებს, ხოტბას ასხამს ბოლშევიკებს სწორეთ იმისთვის, რომ მათ დაიპყრეს კავკასია, კერძოთ საქარ-

თველო და მიზნათ აქვთ ახლო-აღმოსავლეთში აღადგინონ სახელი და ავტორიტეტი რუსეთის იარაღის: ეს «ვეხი», რომლის სულისჩამდგმელნი მემარჯვენე ოქტომბრისტული ინტელიგენციაა, ბოლშევიკების მიზანს ობიექტიურათ აფასებენ, როგორც მთლიანი და დიდი რუსეთის აღდგენის პოლიტიკას, და ამ რიგათ ნამდვილ სახელს აძლევენ იმ რეაქციონურ მუშაობას, რომელსაც ჩვენი კომუნისტები ასეთი გატაცებით აწარმოებენ. დიახ, ეს არის იგივე იდეა, «ვრანგელ-დენიკინის», იდეა შავრაზმულ რუსეთის. ამიტომ ესალმებიან მას სიამოვნებით ვრანგელის ღენერლები და ბობრიშჩევ-პუშკინები...

მაგრამ ეს ველიკოროსული იმპერიალიზმი, რომელსაც გამოეცალა დღეს ყოველი ნიადაგი, გარეშე წითელ არმიელთა ხიშტის ძალისა, ღრმათ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ვერ შესძლებს ამ რეაქციონური მიზნების დიდი ხნით მიღწევას.

მისი გაშიშვლება და აშკარა რეაქციონური სახით გამოსვლა, ერთა უფლების და დემოკრატიის პრინციპების ასე ხელაღებით გათელვა გადაიქცევა იმ სამარეთ, რომელშიაც თვითონ ჩავარდებიან. შინ დამშეული რუსეთი, აოხრებული და გაპარტახებული თავის აღმოსავლეთის ავანტიურას დაათავებს სამარცხვინო მარცხით, რომელიც იქნება დამხობა ველიკოროსიული შავი იმპერიალიზმის და დასაწყისი მათ მიერ დაჩაგრულ ერთა თავისუფალ ცხოვრების.

ნამდვილი ფედერაცია ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების, რომელიც მათ სახელდახელოთ შეთითხნეს—არა ამ ერების ინტერესების მიხედვით, არამედ თავის აღმოსავლეთურ სამხედრო ავანტიურებისთვის ფართე ბაზის მოსაპოვებლათ, თან გაჰყვება მათ უკანასკნელ სულთმობრძავ ამოკვნესას. ხოლო კავკასიის ერები—თავისუფლათ, ურთიერთშორის მორიგებით და მოლაპარაკებით საერთო ინტერესების ნამდვილ მტკიცე ნიადაგზე ააგებენ ძმურ ურთიერთობის მტკიცე კედელს, რომელიც დაიცავს მათ მომავალში ყოველივე არა მკითხე მეპატრონეთა თვითნებობისა და დაჩაგვრისაგან.

ხოლო ბოლშევიზმის გაკვეთილი სანიმუშოთ დარჩება იმის, თუ როგორ არ უნდა გაკეთდეს ერთა სოლიდარობა.

## ვინ გნებავთ მოატყუილოთ?

ბერლინის რუსულ გაზეთ «ნოვი პუტ»-ში, რომელიც გამოდის მოსკოვის ფულით, მოთავსებულია საუბარი მ. ცხაკაიასთან, რომელიც თავის თავს «საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლათ» ასაღებს. როგორც ამ საუბრიდან სჩანს, ბ-ნი ცხაკაია ძლიერ კმაყოფილია ამ ჟამათ საქართველოში არსებული მდგომარეობით და სხვაც რომ ასე კმაყოფილი გახადოს, ამიტომ აშკარა ტყუილს ამბობს:

«ნატურალური გადასახადი მეტათ სასურველათ ჩატარდა, საქართველოს გლეხობა მას კარგათ შეხვდა. წარმოება მსხვილ ფაბრიკებში თვალსაჩინოთ იზრდება და მიღებულია აგრეთვე მთელი რიგი ზომების მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ».

თუ ყველაფერი ასე კარგათ არის მოწყობილი საქართველოში ბ-ნო ცხაკაია, მაშინ რაღა საჭიროა სოფლებში რუსის წითელი არმიელების ეგზეკუცია, ჩეკისტების თარეში და მუშების დელეგაციის დაჭერა?!

რათ უმალავთ მკითხველთ, რომ საქართველოდან გაიტანეთ და რუსეთში გაგზავნეთ მთელი სიმდიდრე, რომ წითელმა არმიელებმა შესჭამეს ყველაფერი რაც კი გააჩნდა ქართველ გლეხობას და რომ დღეს საქართველოში აღარ არსებობს კრების, სიტყვის და პიროვნების თავისუფლება და საქართველოს ციხეები სავსეა ცნობილი რევოლიუციონერებით და მოწინავე მუშებით და გლეხებით?!

ან შეიძლება თქვენ და მოსკოვის დიქტატორების მიერ მოსყიდული გაზეთი ფიქრობს, რომ ასეთი ყალბი განცხადებებით შეიყვანს შეცდომაში ევროპის პროლეტარიატს?

ტყვილია, ევროპის პროლეტარიატს დღეს არამც თუ ცხაკაიას განცხადების, არამედ ლენინ-ტროცკისაც აღარაფერი სწამს.

ევროპის პროლეტარიატმა კარგათ იცის თუ რა ხდება საქართველოში და როგორი ჯოჯოხეთია იქ გამეფებული ბოლშევიკების წყალობით.

მაშ ვინ გნებავთ მოატყუილოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო და ევროპა.

## საქართველოს ანკეტის გამო.

ჩვენ მკითხველებს ახსოვთ ალბათ ის საყურადღებო მოწოდება, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ ქვეყანას ამცნეს ქართველმა სოციალისტებმა. ისინი მიმართავდენ მთელს ინტერნაციონალს მიმართულების განურჩევლათ, რათა მათ დაედოთ მსჯავრი საქართველოს მჩაგვრელ მოსკოვის აგენტებისათვის, რომლებმაც ეგრეთ წოდებულ ქართველ ბოლშევიკურ მთავრობის შირმით გაამეფეს ქვეყანაში საზარელი ტერორი, მოსპეს ყოველივე თავისუფლებანი, და კარი დაუხშეს თავისუფალ აზრს. ჩვენი მეგობრები ითხოვდენ, რომ ყველა ქვეყნის სხვა და სხვა სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიათაგან თანასწორი რიცხვით არჩეულ დელეგაციას მოეხდინა სერიოზული ანკეტა და მისი ზედამხედველობის ქვეშ მოწყობილი ყოფილიყო მცხოვრებთა საერთო დაკითხვა.

მეორე ინტერნაციონალმა დაუყონებლივ განაცხადა, რომ ის მხარს დაუჭერდა ასეთ ლოიალურ წინადადების ცხოვრებაში გატარებას და მისი მდივანი, ჩვენი მეგობარი მაკდონალდი შესაფერისი წერილით შეეკითხა მოსკოვის მთავრობას—მისცემდა თუ არა ის განზრახულ კომისიას მოქმედების საშუალებას. მაკდონალდის 4 ივლისის წერილს მხოლოდ 13 სექტემბერს გასცეს პასუხი და ეს პასუხი მოვიდა არა მოსკოვიდან, არამედ თფილისის ეგრედ წოდებულ მთავრობისაგან. მეორე ინტერნაციონალის ბიულეტენში ჩვენ ვკითხულობთ დღეს ამ პასუხის სრულ ტექსტს. ამიტომ ზედმეტი არ იქნება ხელახლა დაუბრუნდეთ ამ საკითხს.

წერილი ერთობ გრძელია, მაგრამ თუ გამოვაკლებით ის ჩვეულებრივი ლანძღვა-გინება, რომელსაც საბჭოთა თვითეული დოკუმენტი ერთისა და იმავე მომაბეზრებელი მონოტონიით იმეორებს, მისი ავტორების მოსაზრებათაგან ძლიერ ცოტა რამ დაგვრჩება. კომუნისტები «ზიზღით» უარჰყოფენ ყოველგვარ ანკეტას, იმიტომ, რომ ვითომ ამგვარი ანკეტა არავის მოუთხოვია ირლანდიასა, ეგვიპტესა, ინდოეთსა და დასავლეთ იმპერიალიზმის მიერ დამონებულ სხვა ქვეყნებისათვის; იმიტომ, რომ ბოლშევიკებს აზრათ ჰქონიათ მოიწვიონ «შემდეგში» საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელი არმიის ჯარისკაცთა დელეგატების ყრილობა, რომლის დადგენილებები გაცილებით უკეთ გაგვაცნობენ ქართველი ხალხის გრძნობებს, ვინემ ამ ხალხის უშუალო დაკითხვა; და დაბოლოს, იმიტომ, რომ ექვსი თვის განმავლობაში დამტკიცდა, რომ ბოლშევიკური რეჟიმი მიიღო ქართველმა ხალხმა, ვინაიდან აჯანყებას არ ჰქონია ადგილიო.

რაც შეეხება პირველ მუხლს: ყველამ იცის გარდა ბოლშევიკებისა, რომ სოციალისტურ პარტიებს, წერილში აღნიშნულ ქვეყნებში უწარმოებიათ არა ერთი, არამედ მრავალი ანკეტა. ვის არ ახსოვს, მაგალითად ინგლისის მუშათა პარტიის ანკეტა ირლანდიაში, რომელსაც თითქმის ოფიციალური ხასიათი ჰქონდა?

რაც შეეხება მეორე პუნქტს: ძალიან საინტერესო იქნება საბჭოთა ყრილობის დებატების მოსმენა—თუ ის ოდესმე შეიკრიბა; მაგრამ იმ დროს, როცა მუშათა მოძრაობის ყველა ხელმძღვანელები ციხეში არიან, როცა მთელი გლეხობა იმის ფიქრშია, თუ როგორ დაიცვას ხორბალის უკანასკნელი ტომარა მოძალადეთა რეკვიზიციებისაგან,—განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ დეპუტატების არჩევა თავისუფლად ჩატარდება და განა ზედმეტი იქნებოდა მიუდგომელ კომისიის კონტროლი?

რაც შეეხება მესამე მუხლს: სწორედ ანკეტა იყო ერთათ-ერთი საშუალება, რომელიც შესაძლებლად გახდიდა მშვიდობიანი გზით მოწესრიგებულიყო ის მდგომარეობა, რომელიც გამომხატველია მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის უკმაყოფილებისა და აღშფოთებისა. მას შემდეგ, რაც დაიწერა საბჭოთა პასუხი საქართველოში გაძლიერდა და გახშირდა სახალხო მოძრაობა, მანიფესტაციები, გაფიცვები, და იარაღით გამოსვლაც კი. ბოლშევიკები კი, გაჯიუტებით უკუაგდებენ მოლაპარაკების გზას. მათ სურთ საქმის უხეში საშუალებით გადაწყვეტა.

ცხადია, ამიერიდან მათ მხოლოდ თავისთავს უნდა დააყვედრონ, თუ მოთმინებიდან გამოყვანილმა ქართველმა მუშაბმა და გლეხებმა ძალისავე საშუალებით გასცეს პასუხი მათ.

**ლუი დებრუკერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხ. მაკდონალდის პასუხი ქართველ ბოლშევიკებისადმი.

როგორც ვიცით, ამხ. მაკდონალდს გადასცა მოქ. კლიჩკომ (კრასინის მოადგილემ) საქარ. ბოლშევიკების, წერილი რომელშიც ეს უკანასკნელნი უარს აცხადებენ საქართველოში რეფერენდუმის მოსახდენათ სოციალისტურ კომისიის დაშვების შესახებ.

აი ამხ. მაკდონალდის პასუხი ამ წერილზე, რომელიც ჩვენ მოგვივიდა და ვბეჭდავთ მას სრულათ.

დიდათ პატივცემულო ბ. კლიჩკო!

ამით ვამოწმებ თქვენი წერილის მიღებას ამ თვის 13 რიცხვიდან, რომელსაც თან ახლდა დოკუმენტი, რომელიც უნდა იყოს პასუხი მე-2 ინტერნაციონალის აღმასრ. კომიტეტის წინადადებაზე, რომ თფილისის სოც.-დემ. ორგანიზაციის რეზოლიუცია რუსის ჯარების მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ მიმართული, გადაცემოდა საერთაშორისო სოციალისტურ კომისიას. დიდათ დამავალებთ, თუ მადლობას გადასცემთ თქვენს მთავრობას ამ დოკუმენტის გამო, ის საუკეთესო საბუთია თქვენი მთავრობის ბუნების დასახასიათებლათ. ჩემი მხრით მე განზრახვა მაქვს გამოვაქვეყნო ეს დოკუმენტი, როგორც კი მოვახსენებ მას ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს.

თუ განზე დავტოვებთ ყოველ მნიშვნელობას მოკლებულ ფრაზეოლოგიას, ამ წერილის შინაარსი დაგვრჩება ერთი, სახელდობრ, ის რომ რუსის მთავრობა ფიქრობს კვლავ განაგრძოს საქართველოს სამხედრო ოკუპაცია და თან ამაყობს კიდეც იმით, რომ წითელ არმიის შეუბრალებელი რეპრესიები საშვალებას უსპობენ ქართველებს აჯანყების საშვალებით მოიპოვონ თავისუფლება. მხოლოდ ინგლისური თარგმანი უსწორობით შემიძლია ავხსნა იმის მტკიცება წერილში, თითქოს ქართველების მხრივ არავითარს პროტესტს არ ჰქონდეს ადგილი. ამ მტკიცების წინააღმდეგ საკმაოთ ლაპარაკობენ საქართველოს ციხეები, რომლებშიც იტანჯებიან და შიმშილით წყდებიან, თქვენი შეუბრალებელი მტანჯველებისაგან განაწამები მოღვაწენი მუშათა მოძრაობისა, სოციალისტები, წარმომადგენელნი ყველა დემოკრატიული პარტიებისა, რომელთაც მთელი თავის სიცოცხლით დაამტკიცეს ერთგულება პროლეტარიატის კლასისადმი.

ის მუშაობა, რომელიც მიუძღვის ზოგიერთ ჩვენთაგანს მუშათა კლასის წინაშე გვათავისუფლებს იმ სულელურ ბრალდებებზე პასუხის გაცემისაგან, რომელიც გვესმის მოსკოვიდან, და ნებას გვაძლევს არავითარი ყურადღება არ მივაქციოთ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ასეთ ბრალდებებს შეუძლიათ მოახდინონ ინგლისის ან სხვა რომელიმე ქვეყნის მუშათა კლასზე.

სრულის პატივისცემით რამზეი მაკდონალდი.

---

## მე-II ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში.

მეორე ინტერნაც. აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია შეიკრიბა ქ. ბრიუსელში. დღიური საკითხი იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გაერთიანება და საქართველოში შერეულ კომისიის გაგზავნის საკითხი.

პირველი საკითხის შესახებ წინეთ გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინების შემდეგ კომიტეტმა მიიღო დადგენილება მიმართოს ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს და მოუწოდონ საერთო გამოსვლების მოსაწყობათ, რომელსაც მიზნათ ექნება დიდი ომის მემკვიდრეობის ლიკვიდაცია, ევროპის ეკონომიურ დაქვეითებასთან და არევ-დარევასთან ბრძოლა, და საყოველთაო განიარაღების განხორციელება.

შემდეგ გადავიდნენ საქართველოს საკითხზე.

რამზეი მაკდონალდმა მოახსენა კრებას საქ. კომუნისტების უარყოფითი პასუხი სარეფერენდუმო კომისიის შედგენის შესახებ მიცემულ წინადადებაზე და თავის წერილი კლიჩკოსადმი, ამ პასუხის გამო მიწერილი და გამოაქვეყნა აგრეთვე ნ. ჟორდანიას წერილი მასთან.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რასაც მოჰყვა იმ რეზოლიუციის მიღება, რომელიც შეტანილ იქნა ჰიუსმანსის მიერ და რომელიც ჩვენი ჟურნალის წინ (13) ნომერში იყო მოთავსებული,—სხდომას საქართველოს მხრივ დაესწრნენ კ. ჩხეიძე და ვ. ვოიტინსკი.

## ევროპის პრესა საქართველოს ამბების შესახებ.

საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, ინგლისის და ისპანიის გაზეთებმა დაბეჭდეს საქართველოს მუშების ევროპის პროლეტარიატისა-

დმი მოწოდება და უძღვნეს მას წერილები. სოციალისტური პრესა მოითხოვს ბოლშევიკებისგან პასუხს და უსვამს ადგილობრივ კომუნისტებს კითხვას: როგორ შეგიძლიათ გაჩუმდეთ თქვენ იმ დანაშაულობათა შესახებ, რომელსაც მოსკოვის მთავრობა ახდენს საქართველოს პატარა ხალხზე? ევროპის კომუნისტები ყოველივე ამას სიჩუმით უპასუხებენ.

სამაგიეროთ მოსკოვი არ სდუმს, მან გამოაქვეყნა რადიო და ქვეყანას აუწყა, რომ ქართველ მენშევიკებს თფილისში უნდოდათ მოეხდინათ გაფიცვა, მაგრამ მას წინ აღუდგენ ქართველი მუშები და სრული მათი დამარცხებით დათავდაო. მოსკოვის რადიოს სიყალბე ისე ნათელია, რომ მისი დაბეჭდვა ადგილობრივ კომუნისტურ გაზეთებსაც კი შერცხვათ.

## ამერიკის პრესა საქართ. შესახებ.

უკანასკნელ ხანებში ამერიკის პრესა ყურადღებით ეპყრობა საქართველოს საკითხებს. მთელმა რიგმა ამერიკის გაზეთებისამ დაბეჭდეს თფილისის მუშების დეკლარაცია და ბ. ჩხიკვიშვილის მოწოდება დამშეულთა დახმარების შესახებ. თფილისის უკანასკნელმა ამბებმაც მიიპყრეს ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ყურადღება. ნიუიორკის გაზეთი «გლოვე» ათავსებს ვ. ჩერქეზიშვილის წერილებს ბოლშევიკების მიერ დაპყრობილ ამიერ-კავკასიის მდგომარეობის შესახებ.

## საფრანგეთის სოციალისტების დადგენილება.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ადმინისტრატიულმა კომისიამ (ც. კ-მა) მიიღო შემდეგი რეზოლიუცია საქართველოს შესახებ:

«იმ მომენტში, როცა პრობლემა მოსკოვის და დასავლეთ ევროპის მთავრობათა ურთიერთობისა, ახალ ხანაში შედის, და როცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს პრობლემა საბჭოთა მთავრობის ცნობით დამთავრდება, სოციალისტური პარტია (მუშათა ინტერნაც. საფრ. სექცია) თავის მოვალეობათ თვლის აღნიშნოს, რომ ბოლშევიკების ჯარების საქართველოში შემოჭრით შექმნილი მდგომარეობა დღესაც სრულიად უცვლელათ არის დატოვებული. მოსკოვის მთავრობა დღესაც აგრძელებს საქართველოს სამხედრო ოკუპაციას, დღესაც გაუქმებული აქვს ყველა დემოკრატიული დაწესებულებანი, რომელიც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობის გამოცხადების დროიდან.

ამიტომ სოც. პარტია იმეორებს თავის პროტესტებს წინააღმდეგ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ფეხ-ქვეშ გათელვისა და ძალადობისა იმ პატარა ერის მიმართ, რომლის დამოუკიდებლობა თვით ამ მოსკოვის მთავრობისაგან იყო ცნობილი, და რომელიც არასოდეს არ ერეოდა საბჭოთა რუსეთის საშინაო საქმეებში.

სოციალისტური პარტია აღიარებს, რომ დიდ სახელმწიფოთა მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოუტანოს ზიანი უკვე ცნობილ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ის ხელახლა აცხადებს, რომ მოსკოვის მთავრობა ვალდებულია გაიყვანოს საქართველოდან იქ გაგზავნილი თავისი ჯარები და ნება მისცეს ქართველ ხალხს თავისუფლათ განაგოს თავისი ბედი ისე, როგორც მოითხოვს იგი ამას რუსეთისათვის, როცა თავის ცნობის საკითხს აყენებს.

დაბოლოს პარტია ავალებს თავის საპარლამენტო ფრაქციას იხელმძღვანელოს ამ რეზოლიუციით თავის მოქმედებაში.

## ისპანიის სოციალისტები საქართველოს შესახებ.

ისპანიის სოც. პარტიის ც. კ. იყო ერთათერთი, რომელმაც თავის რეზოლიუციაში შესაძლებლათ დაინახა მოსკოვის სამხედრო მოქმედებათა გამართლება საქართველოში, მაგრამ ეს რეზოლიუცია გამოტანილ იქნა ცეკას კომუნისტური წევრებისაგან დანარჩენების დაუსწრებლათ და ეს მოხდა პარტიის ყრილობის წინ. ყრილობაზე, როგორც აღნიშნული გვქონდა კომუნისტები დამარცხდენ და პარტიიდან გავიდენ. სოციალისტური პარტია ამ რიგათ გაიწმინდა ამ ანარქისტული ელემენტებისაგან და რასაკვირველია ერთიანათ ჩვენი ქვეყნის დაცვის პოზიციაზე დადგა. 16 ნოემბრის ნომერში მათ ცენტრ. ორგანო «ელ სოციალისტა» ათავსებს სავსებით 3449 მუშის მოწოდებას მთელი ქვეყნის სოციალისტებისადმი და თავის მხრივ სასტიკათ გმობს იმ მოძალადეობას და ბოროტებას, რომელიც ჩაიდინა მოსკოვის მთავრობამ საქართველოს მიმართ.

აგრეთვე ისპანიის სოციალის. პარტიის ორგანოში «სოციალისტა»-ში მოთავსებულია ვრცე-

ლი ინტერვიუ ამხ. ნ. რამიშვილთან, რომელიც ეხება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობის დახასიათებას. ინტერვიუში აღნიშნულია თუ რა პირობებში დაიპყრო მოსკოვის მთავრობამ საქართველო და რა საშვალებებით ირჩენენ ბოლშევიკები ხელის-უფლებას რუსის ჯარით დაპყრობილ ქვეყანაში.

გაზეთი ხაზს უსვამს საქართველოს ბოლშევიკურ ძალა-უფლებასა და უნგრეთის ჯალათის ხორტის რეჟიმის შორის არსებულ გასაკვირ მსგავსებას.

ბოლოს გაზეთი ეხება საქართველოში სოციალისტების დევნას და ბოლშევიკების ყაჩაღურ ეკონომიურ პოლიტიკას და ამტკიცებს, რომ ისპანიის მუშათა კლასი სრულ თანაგრძნობას უცხადებს თავის ქართველ მოძმეთ, რომლებიც ამ ჟამათ დამპყრობელთა მძიმე უღელ ქვეშ კვნესავენო.

## ჩეხოსლოვაკიის ს.-დ. საქართველოს შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის სოც.-დემ. გაზ. «პრავ. ლიდუ»-ში მოთავსებულია ვრცელი და საბუთიანი წერილი სათაურით: «სოციალისტური საქართველო მოგვიწოდებს დახმარებისთვის».

წერილის ავტორს მოჰყავს მოკლეთ ბოლშევიკებისგან საქართველოს დაპყრობის ისტორია, და უხატავს მკითხველებს მოსკოვის აგენტების მიერ დამყარებულ რეჟიმის ნამდვილ სურათს: ასწერს სოციალისტების დატყვევებას, პროფ. კავშირების დანგრევას, ქვეყნის სიმდიდრის გაზიდვას და ეკონომიური ცხოვრების გაჩანაგებას. ბოლოს წერილი აღნიშნავს იმ აღშფოთებას, რომელიც ევროპის სოც. პარტიებში გამოიწვია მოსკოვის იმპერიალიზმმა და აქეთკენ მოუწოდებს ჩეხოსლოვაკიის მუშებსაც.

# რა ხდება საბჭოთა საქართველოში

მოწოდებანი.

## მეორე ინტერნაციონალს, რეკონსტუქტორებს, იტალიის სოციალისტურ პარტიას და ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალს.

ტფილისის ხუთი ათასმა მუშამ ცხრა კაცისგან შემდგარ დელეგაციას მიანდო საქართველოს ეგრე წოდებულ რევკომისთვის გადაეცათ მათი განცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, რუსის ჯარების გაყვანის, უცხოეთში ადგილობრივი მუშების გადასახლების შეჩერების, სოფლებიდან დამსჯელ ეგზეკუციების გაყვანის, უცხოელ მოხელეების ჩამოსახლების შეჩერების და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ. ცხრა დელეგატი მუშა რევკომის თავმჯდომარემ მდივანმა დაატყვევა და მეტეხის ციხეში გაგზავნა.

ამ აქტის საპასუხოთ ტფილისის მუშებმა 1 ნოემბერს ყველა დარგებში მუშაობა შესწყვიტეს და გამოიტანეს თავიანთ მრავალ რიცხოვან მიტინგებზე რეზოლიუციები, რომლითიც შეუერთდენ დელეგაციის სამართლიან მოთხოვნილებებს, დაგმეს რევკომის ძალადობა, მოითხოვეს დაპატიმრებულ მუშათა დელეგატების განთავისუფლება და საქვეყნოდ პროტესტი გაცხადეს ოკუპანტების ძალადობის წინააღმდეგ.

1 ნოემბერს მომხდარმა მუშის კრებებმა ჩვენ დაგვავალეს ვაცნობოთ ეს ყველა ქვეყნების მუშებს. ამით ჩვენ გვსურს საქვეყნოთ წავართვათ საშვალება რუსეთის წითელ იმპერიალიზმის აგენტებს, რომ მათ შეცდომაში არ შეიყვანონ ჩვენი თანამოძმეები უცხოეთში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატის დახმარებით ბოლო მოეღება ჩვენს პატარა რესპუბლიკაში ხიშტების ტლანქ ბატონობას.

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ყველა სოციალისტი, ყველა დემოკრატი და უბრალო რიგიანი ადამიანი აღშფოთდება ბოლშევიკების მოქმედებით.

ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს, დეპოს, მოძრაობის და სადგურების 1 ნოემბრის მუშების მიტინგის
თავმჯდომარე ალ. ძაძამია მდივანი თევზაძე.

ნავთლუღ-კახეთის სალოდლის რკინის-გზის მუშების მიტინგების თავმჯდომარეები
შარაშიძე და ნანიანცი.

სამხედრო არსენალის მუშების მიტინგის თავმჯდომარე დ. სადრაძე.

ცენტრალური საავტომობილო ქარხნის მუშების მიტინგის თავმჯდომარე ვ. შუბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავთლუღის სხვა და სხვა დარგების მუშათა მიტინგის თავმჯდომარე ქ. აბაშიძე.

სხვა და სხვა სტამბებში მომუშავეთა კრებების თავმჯდომარეები პატარიძე, ჯავახიშვილი, რობაქიძე.

კარლინსკის ქარხნის მუშების მიტინგის თავმჯდომარე ვ. არეშიძე.

სხვა და სხვა დარგების მიტინგების თავმჯდომარეები ვლ. კიკნაძე, ნ. რეკოფაძე, მენთეშაშვილი, დვალაძე, ყაჯრიშვილი, კირკულაშვილი, მაისურაძე.

ადელხანოვის და ტოლეს ქარხნების მუშების მიტინგის თავმჯდომარე ვაშაკიძე.

ბოზარჯიანცის ქარხნის მუშების მიტინგის თავმჯდომარე დუნდუა.

---

## ევროპის და ამერიკის მუშებს განურჩევლად მიმართულებისა!

ძვირფასო ამხანაგებო!

1921 წ. 24 ოქტომბერს, დილის 11 საათზე თფილისის მუშების დავალებით ჩვენ მივედით საქართველოს რევკომის თავმჯდომარესთან მოსალაპარაკებლად და წერილობითი განცხადების გადასაცემად, რომელშიაც აღნიშნული იყო საქართველოს თანამედროვე მძიმე მდგომარეობა, საქართველოს ტერიტორიის დარღვევის საშინელი პროცესი, დევნა მუშების, გლეხების და საზოგადო მოღვაწეების. ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად თფილისის მუშები საჭიროდ აღიარებდენ შემდეგი ზომების მიღებას: 1. საქართველოს დარღვეულ დამოუკიდებლობის აღდგენას და ქართულ ენის დაცვას. 2. რუსის ჯარის გაყვანას საქართველოდან და ქართული ლაშქრის შედგენას. 3. მუშათა ორგანიზაციების, კრების, სიტყვის, პრესის, არჩევნების თავისუფლებას და ბინის და პიროვნების ხელუხლებლობას. 4. რომ შიმშილით არ დაიხოცოს მუშათა ოჯახები, მუშების ნივთიერ მდგომარეობის დაუყონებლივ გაუმჯობესებას. 5. მუშების დათხოვნის და უცხოეთში გადასახლების შეჩერება მოსპობას. 6. უცხო მოხელეების ძალადობის მოსპობას. 7. საქართველოს სოფლებში რუსის ჯარის ეკზეკუციების მოხსნას და 8. პოლიტიკურ დევნილების და ტუსაღების განთავისუფლებას.

მუშათა განცხადებას ხელს აწერდა მრავალი ათასი მუშა, ხოლო ჩვენ დავალებული ვგქონდა მისი გადაცემა რევკომისთვის.

რევკომის თავმჯდომარემ 24 ოქტომბერს ჩვენ სასახლეში 3 საათი გვალოდინა, აღვითქვა მიღება, მაგრამ აღარ მიგვიღო. წასვლისას სასახლესთან ჩეკას თანამშრომლებმა ალყა შემოგვარტყეს და წაგვიყვანეს «ჩეკაში» სადაც მეტათ უდიერად მოგვეპყრენ, ხოლო თფილისის მუშათა პეტიცია ჩამოგვართვეს. ორი დღე და ღამე ბნელ სარდაფში გვამყოფეს, შემდეგ მეტეხის ციხეში მოგვათავსეს. 28 ოქტომბერს ციხიდან მივმართეთ რევკომის თავმჯდომარეს და მოვითხოვეთ ჩვენი უფლების აღდგენა. 29 ოქტომბერს, რევკომის თავმჯდომარემ, რომ საზოგადოება და მუშათა კლასი შეცდომაში შეეყვანა, ოფიციალურად განაცხადა «დელეგაცია არ დამიპატიმრებია და არაფერი ვიცი ამის შესახებო». 31 ოქტომბერს ჩვენ ამის გამო გაუგზავნეთ რევკომის თავმჯდომარეს წერილობითი ჩვენი პროტესტი, პასუხი მოვთხოვეთ და და ოფიციალურადაც გადავეცით თფილისის მუშების წერილობითი განცხადება მეტეხის ციხიდან, რომელიც 24 ოქტომბერს უნდა გადაგვეცა.

1 ნოემბერს საქართველოს მუშებმა პროტესტისა და მოთხოვნილების მხარის დასაჭერათ და რევკომის ძალადობის წინააღმდეგ საპროტესტო კრებები გამართა და გაფიცვები გამოაცხადა. ამის გამო თფილისში დ მთელ საქართველოში დაიწყო მასიური რეპრესიები—იჭერენ და სჯიან ასობით მუშებს. დევნა ღებულობს ბარბაროსულ სახეს, გადამალულ მუშათა მაგიერ იჭერენ მათ ოჯახებს. არ იზრალებენ არც ერთ საზოგადო მოღვაწეს. არა ერთსა და ორ ათას მუშა-მოქალაქეს ხვდა წილად ჩეკის სასტიკი რეპრესიები. მიუხედავათ ამ საშინელ რეპრესიებისა, 3—4 ნოემბერს თფილისის მუშათა კლასის პროტესტს შეუერთდა მთელი ქართველი სტუდენტობა, ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეები და მთელი ქართველი გლეხობა. ტანჯული ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი მხარს უჭერს პროლეტარიატის სამართლიან მოთხოვნილებას.

ჩვენ ვალდებული ვართ გაცნობოთ ყველა ქვეყნის მუშებს, რომ საოკუპაციო ჯარების რევკომმა თფილისის მუშების დელეგაცია 24 ოქტომბერს დაატყვევა და მით საქართველოს

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშებს თავდასხმით უპასუხა, მათი ისედაც გათელილი უფლება სრულიად გასრისა.

ჩვენ მაინც შევძელით ჩვენი მოთხოვნილება ჩაგვებარებია მეტეხის ციხიდან რევკომისთვის. უკანასკნელმა საქვეყნოდ უნდა გასცეს პასუხს მას.

გაცნობებთ რა ამას ევროპის და ამერიკის მუშებს, გთხოვთ მიიღოთ თფილისის მუშათა დელეგაციის სალამი მეტეხის ციხიდან.

თფილ. მუშათა დელ. თავმჯდ. იასონ ჩაჩუა.

წევრები: პეტრე ხარაძე, ლეონტი თომაძე, ვასილი ოხიძე, იაკოფ ასიტოვი, იოსებ ავალიძე, ნიკოლოზ გოგინაშვილი, იასონ კახაბრიშვილი და ანდრო თოდუა.

7 ნოემბერი 1921 წ.

თფილისი, მეტეხის ციხე.

---

## ყველა განათლებულ ქვეყნების სტუდენტობას!

რვა თვე გადის, რაც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, იურიდიულათ ცნობილი ევროპის სახელმწიფოების და თვით რუსეთის მიერ, დაპყრილია რუსის ჯარების მიერ.

ჩვენი ერი, რომელსაც ორი ათასი წლის თავგანწირული ბრძოლით შეუნარჩუნებია თავისი მიწა-წყალი და ნაციონალური სახე, დღეს გმინავს მოძალადეების ხიშტებ ქვეშ. რუსეთიდან ახალ-ახალი ჯარები მოდის და ჩვენ აოხრებულ სამშობლოს კიდევ უფრო უარესს მომავალს უქადის.

ამის გამო 24 ოქტ. თფილისის ქართველმა მუშებმა გაუგზავნეს საქარ. რევკომს, რომელიც საოკუპაციო ჯარების მიერ არის საქართველოს მმართველად დაყენებული, ცხრა კაცისაგან შემდგარი დელეგაცია წინადადებით, რომ აღდგენილი ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობა ყველა მისი ატრიბუტებით. რევკომის თავმჯდომარემ დელეგაცია დაატყვევა. ამას მოჰყვა თფილისის მუშების და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების გაფიცვა-პროტესტები.

ჩვენ, ქართველმა სტუდენტებმა, მთელ ერთან ერთად, დავუჭირეთ მხარი მთელი ჩვენი არსებით სამშობლოს შელახულ უფლებების აღდგენის მოთხოვნას. 3 ნოემბერს, უნივერსიტეტის დარბაზში მოხდა კრება ორი ათასი ქართველი სტუდენტის, რომელთაც მოისმინეს მოხსენება სტუდენტ ჯანელიძის და ერთხმად, განურჩევლად მიმართულებისა, მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

«მოისმინა რა განცხადება 24 ოქტომბერს რევკომის მიერ თფილისის მუშათა კლასის დელეგაციის დაპატიმრების შესახებ. თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტობა:

1) სავსებით უერთდება თფილისის პროლეტარიატის მოთხოვნილებებს — საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებისა და მისი ტერიტორიის დაცვის, სიტყვის, კრების, პრესის და სხვა პოლიტიკურ უფლებათა თავისუფლების, საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის ჯარების გაყვანის და ქართველ ლაშქრის უფლებათა აღდგენის და პოლიტიკურ დევნილთა და პატიმართა განთავისუფლების შესახებ და ყველას გასაგონათ აცხადებს, რომ იგი მუდამ მზათაა მთელი თავისი ძალ-ღონით მუშათა კლასთან ერთად დაიცვას ეს სამართლიანი მოთხოვნილებები;

2) სტუდენტობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ უხეშ ძალადობის გამო, რომელიც გამოიხატა რევკომის მიერ 24 ოქტომბერს მუშათა დელეგაციის დაპატიმრებაში და გამოსთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას რევკომის თავმჯდომარის მდივანის 29 ოქტომბრის უტიფარ განცხადების გამო, თითქოს დელეგაცია არაეის დაეპატიმრებიოს;

3) კრება ღრმა თანაგრძნობასა და სრულ სოლიდარობას უცხადებს დაპატიმრებულსა და მეტეხის ციხეში გამომწყვდეულ ამხანაგებს — მუშათა დელეგაციას და

4) მოითხოვს მის დაუყონებლივ განთავისუფლებას».

გაცნობებთ რა ამას უცხოელ ჩვენ ამხანაგებს, დარწმუნებული ვართ, რომ იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს პატარა, მაგრამ საუკუნოების განმავლობაში გაკაჟებული ერი თავისი არსებობის და დამოუკიდებლობის დაცვისათვის, თქვენი თანაგრძნობა, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენს მხარეზედ იქნება. გამხნევებული თქვენი თანაგრძნობით მსხვერპლად შევეწირებით ჩვენს პატარა, მაგრამ ლამაზ სამშობლოს, სრული დარწმუნებული საბოლოო გამარჯვებაში. მიიღეთ თქვენი უმცროსი ძმების ძმური სალამი.

გაუმარჯოს დამოუკ. დემ. საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს მოწინავე ქვეყნებთან კავშირს.

კრების თავმჯდომარე ი. ხეცურიანი.

მდივანი ფ. შარაძე.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ, ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ.

მოქალაქენო!

უკანასკნელ დღეებში მოხდა თფილისის ხუთი ათასი მუშების სახელით დელეგაციის გაგზავნა რევკომის თავმჯდომარესთან მოთხოვნილების წარსადგენათ. ცხრა მუშა დელეგატი, რომელთა გვარები დღეს მთელმა საქართველოს მოწინავე დემოკრატიამ იცის, ბანმა მდივანმა დაატყვევა და ჯერ ჩეკაში, შემდეგ მეტეხის ციხეში გაგზავნა.

ამის პასუხად თფილისის ყველა დარგის მუშებმა დროებით შესწყვიტეს მუშაობა, მოაწყვეს საპროტესტო მიტინგები და ამით ღირსეული პასუხი გასცეს მუშების შეურაცმყოფელთ. მუშებს მედგრად და ერთსულოვნად მხარი დაუჭირა მთელმა თფილისის დემოკრატიამ: ქართველ სტუდენტობამ, მოსამსახურეებმა და სხვამ.

რევკომმა მოიწვია კრება ვითომ პროფესიონალურ კავშირების, სადაც თავი მოიყარა რუსეთიდან ჩამოსულმა მოხელეებმა, ჩეკას თავიდან ფეხამდე შეიარაღებულმა აგენტებმა, კომისრებმა და მათმა დამქაშებმა. ამ ხალხმა რა საკვირველია დაგმო თფილისის მუშების მედგარი პროტესტი მათი წინაალმდეგ მიმართული. ამ კრებაზედ კომუნისტების კაზიონმა ორატორებმა ნიშანში ამოიღეს ჩვენი პარტია. რისთვის? მხოლოდ იმისთვის რომ მთელი მათი თანაგრძნობა საქართველოს დემოკრატიასთან ერთად მუშების მხარეზეა.

ამ სასაცილო კრებაზედ ლოლონტელების სახელით ვიღაც მელაშვილმა განაცხადა, რომ მათ არაფერი იციან დელეგაციის შესახებ. ისევე რაინდულად მოიქცა «სპიელების» წარმომადგენელი ვიღაც ტოფაძე. ეს იმ დროს, როდესაც მთელმა თფილისმა იცოდა დელეგაციის დაჭერა და იმ საათში, როდესაც უნივერსიტეტის დარბაზში ორი ათასი სტუდენტობა განურჩევლათ მიმართულებისა, ერთხმად ლებულობდა საპროტესტო რეზოლიუციას და ახალგაზრდული უანგარობით მხარს უჭერდა მუშების და მათი პირით მთელი ქართველი ერის უდიდესად სამართლიან მოთხოვნილებას—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, რუსის ჯარის გაყვანის, ქართულ ლაშქრის შექმნის, ქართველ მუშების უცხოეთში გადასახლების და ჩვენში უცხოელების ჩამოსახლების შეჩერების, ქართული ენის დაცვის, სოფლებში ეკზეკუციების მოხსნის პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლების და სხვა.

ჩვენ მივიღეთ მუშების წერილი ყველა პარტიებისადმი და ჯგუფებისადმი მიმართული, რომ ამ სამართლიან და უდავო მოთხოვნილებისთვის მხარი დაგვეჭირა. ამ მოთხოვნილებებს ჩვენ ვუჭერდით და აწიც დაუჭერთ მხარს. ვერავითარი მუქარა ადგილობრივ კომუნისტებისა და სისინი ჩამოსულ გადამთიელ შოვინისტების მირონოვ-ცირაპების ჩვენ ვერ შეგვაშინებს, ჩვენ ვიცავით და ვართ საქართველოს მუშებთან, გლეხებთან და მთელს მოწინავე დემოკრატიასთან და მათ დღევნას ყოველთვის ვიზიარებდით და დღესაც სიამაყით გავიზიარებთ.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

**საქართველოს სოც.-დემ. პარტიის**

**ცენტრალური კომიტეტი.**

8 ნოემბერი 1921 წ.

---

## ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ!

ათი თვის განმავლობაში საქართველოს განაგებდა მოსკოვიდან დანიშნული «რევკომი» ათი თვე სწმენდდა იგი საქართველოს ქართველთ მოწინავე მუშებისაგან, რომლებსაც ათასობით გზავნიდა უცხო ქვეყნებში ან ციხეებში და ჩეკას ნესტიან სარდაფებში და მხოლოდ ეხლა, ათი თვის მზადების შემდეგ, ბედავს «რევკომი» საქართველოში შექმნას «მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოებისა» მსგავსება. მთელი ის ტერორის სისტემა, რომელიც გამეფებულია ქართველი ხალხის მიმართ უცხოეთიდან მოყვანილი ლაშქრის მიერ, სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა, ციხეების გავსება ქართველი მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებით—ყველა ეს შეუძლებლად ხდის ქართველი მუშების და გლეხების ჭეშმარიტი აზრის საქვეყნოთ გამოთქმას.

რევკომის მიერ მიღებულ საარჩევნო სისტემის წყალობით «საბჭოებში» უნდა გაბატონდნენ სარატოვის, რიაზანის, ვორონეჟის და შიდა რუსეთის სხვა ადგილებიდან მოყვანილი ლაშქრის ნდობით აღჭურვილი პირები. მათ გვერ-

დში ამოუდგებიან რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ათასობით და ათიათასობით ჩამოყვანილი «საბჭოთა» ჩინოვნიკები და მათი ოჯახის წევრები. მხოლოდ ამ ელემენტებს დარჩებათ საარჩევნო ბურთი და მოედანი. ფარული ხმის მიცემის აკრძალვა ყველა ქართველ ამომრჩევლებს წაართმევს თავისი ნამდვილი ნებისყოფის გამომჟღავნების ხალისს, რადგანაც ყველასათვის ცხადია, რომ ამ გამომჟღავნებას მოჰყვება ციხის საკანი, ან ჩეკას სარდაფი.

ის, რასაც რევკომი უწოდებს «საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა საბჭოებს» ნამდვილათ არ იქნება ქართველი მშრომელი ხალხის საბჭოები. ეს იქნება საბჭოები საქართველოს მშრომელი ხალხის დამპყრობი რუსის ჯარისა, საქართველოს მშრომელ ხალხზე გაბატონებული რუსის ჩინოვნიკებისა და საქართველოს დამონების მონაწილე უცხო ელემენტებისა. ამ «საბჭოების» მიერ გამოცემული ყველა დადგენილებები, ყველა დეკრეტები, ყველა კანონები იქნება ფეხქვეშ გათელვა ქართველი მშრომელი ხალხის უფლებებისა.

ამ ნაირი «საბჭოების» მოწვევით, ამ ნაირი დაწესებულების «საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა «საბჭოებათ» მონათვლით მოსკოვის მიერ დანიშნული რევკომი ახალ თავდასხმას უმზადებს საქართველოს.

დამპყრობლებმა არ იკმარეს ის ფიზიკური მკვლელობა, რომელიც მათ ათი თვის განმავლობაში აწარმოვეს საქართველოს მიმართ. დღეს მას მოუნდომებია მისი ზნეობრივი მკვლელობაც, დღეს მას მოუნდომებია საქართველოს მშრომელი ხალხის ხმათ გაასაღოს დამპყრობელისა და დამმონებელის ხმა. ისტორიამ არ იცის ასეთი ავაზაკური ფალსიფიკაცია. ქართველი ხალხი მოვალეა ჩაუშალოს დამპყრობელებს მათი ავაზაკური განზრახვა. მისი ვალია ქვეყანას ამცნოს, რომ ხმა, რომელიც გამოვა მოღალატეთა ხელით შეთითხნილ «საბჭოებიდან», ვერ იქნება მშრომელი ხალხის ხმა. ამიტომ ქართველი მშრომელი ხალხი ვერ მიიღებს მონაწილეობას იმ ფალსიფიკაციაში, რომელსაც «საქართველოს საბჭოთა არჩევნებად» ნათლავენ. ქართველი ხალხი ამ თავიდანვე უნდობლობას უცხადებს ამ «საბჭოებს» და ბოიკოტით უპასუხებს მის არჩევნებში მონაწილეობისაკენ მიწვევაზე.

არც ერთი ქართველი ამომრჩეველი გარდა მოღალატეებისა, არ უნდა მივიდეს საარჩევნო ყუთებთან. ვერც ერთი პარტია, გარდა მოღალატეთა პარტიებისა, ვერ მოუწოდებს თავის წევრებს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღეთო.

ქართველი მშრომელი ხალხი, მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოდან გაყვანილი იქნება მისი დამპყრობელი რუსის ჯარი და როდესაც მას შეძლება მიეცემა თავისი ნამდვილი სულის კვეთების გამოაშკარავებისა, მანამდის კი ბოიკოტი მოძალადეებს, ბოიკოტი მათ მიერ მოჭარაკებულ არჩევნებს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალიზმს.

საქართველოს ს.-დემ. მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი.

# რკინის-გზის პროლეტარიატის მდგომარეობა დაპყრობილ საქართველოში.

მოსკოვის საოკუპაციო ძალების განკარგულებით ჯერ კიდევ ზაფხულში საქართველოს რკინის-გზა შეუერთეს ადერბეიჯან-სომხეთის რკინის-გზებს და ტფილისში დაარსეს საერთო სამმართველო, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ვინმე მირონოვი. მირონოვის ფაქტიური დანიშნულება იყო საქართველოს შედარებით მდიდარი რკ.-გზის ქონების გაზიდვა რუსეთში, რაც მან საუცხოვოთ შეასრულა, და რკინის-გზის პროლეტარიატის დარბევა.

უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოში მუშათა მოძრაობის ტონის მიმცემი მუდამ რკინის-გზის პროლეტარიატი იყო. და აი, «მუშათა და გლეხთა მთავრობამ» თავისი რეპრესიების სიმძიმე აქეთკენ მიმართა. არ იკმარეს მოწინავე მუშა-მოსამსახურეების დატუსაღება. ეს 3-4 თვეა, რაც საფუძვლიანათ შეუდგენ რკ.-გზის მუშა-მოსამსახურეების ნამდვილ დარბევას. ამ მიზნით არა ერთი ათეული და ასეული მოწინავე მუშა გადაასახლეს უცხოეთში.

რამდენი გადაასახლეს მოვიყვანოთ ციფრები. გაიგზავნენ საქართველოდან მივლინების სახით 10 ოქტომბრამდე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურის უფროსები 10, თანაშემწენი 180, შემდგენელნი 55, გადამბელნი 52, მეისრეები 350, ორთქმავლის გამც. 32, მესიგნალე 10, ორთქ. გამკარგულ. 15, კანტორის მოხელენი 30, ამწონავნი 20, ტელეგრაფისტები 30, უფროსი კონდუქტორი 103, ბარგის კონდუქტორი 120, ფერშლები 17, მემუხრუჭენი 310.

რკინის-გზის მუშებს ასახლებენ. ძველ მუშებს ითხოვენ და ქუჩებში ყრიან ულუკმაპუროთ! ამავე დროს ხდება ნამდვილი შემოსევა უცხოელების. დათხოვნილთა ადგილას რუსები მოყავთ. აი ჩვენ ხელთ მყოფი ოფიციალური დოკუმენტი:

«როსტოვი ოლქის უფროსს..

12/ 21 წ. № 2614.

დამატებით ჩვენი ფოსტა-ტელეგრამისა №№ 1210386 გვჭირდება წევის დარგის უფროსები 3, სახელდობ: განჯაში, ბათუმში, ალექსანდროპოლი. ეხლა თანამდებობათა აღმასრულებელნი უნდა იქნან დათხოვნილი, საქმისათვის გამოსადეგრობის მიზნით. 3. სახელდობრ: აჯიკაბულისათვის, აქსტაფისა და ბორჯომისათვის. აღნიშნული აგენტები გამოგზავნეთ მუდმივი მუშაობისათვის დამკვრელი წესით.

გზების უფროსი და კომისარი მირონოვი.

№ 30/238».

«როსტოვი რკ.-გზის ოლქის უფროსს.

№ 103883.

დამატებით ჩვენი დეპეშისა ა. წ. 12 ენკენისთვის თარიღით № 20-221 გატყობინებთ, რომ ამიერ-კავკასიის რკ.-გზებისათვის გვესაჭიროება დამატებით აგენტები შემდეგი ნაწილებისათვის:

**სალიანდაგო ნაწილისათვის:** უბნის უფროსი ერთი, თანაშემწე 3, ტეხნიკი 34, უფროსი გზის ოსტატები 22, არტელჩიკები 199, ზედამხედველები 6, ლიანდაგის დარაჯები 396, ოსტატები 317, გადასასვლელების დარაჯები 80, ხიდეების დარაჯები 4, მეკუპნავეები 3, რემონტის მუშა 6.916, შავი მუშა 2,209, მილების შემკეთებელნი 182, მილების დამწმენდნი 24, საქმის მწარმოებელი 1, მწერლები და თანსშემწენი 38, უფროსი მოანგარიშეები 14, მოანგარიშე მოხელე 32, კონტორჩიკები 153, მანქ. ნით გადამწერნი 110, დარაჯები 10.

**ელექტრო-ტეხნიკურ ნაწილისათვის:** მდივანი 1, ინსტრუქტორი 2, განყოფილების უფროსი 1, მოადგილე 3, ინჟინერ-ელექტრიკი 5, მემანქანე 10, კანტორჩიკი 55, თარჯიმანი 1, მოანგარიშე მოხელეები 20, მხაზავები 3, ტეხნიკები 44, სახელოსნოს უფროსი 1, გამგეები (უბნებისათვის) 7, რევიზორები 3, ზედამხედველნი 36, თანაშემწეები 45, უფროსი ოსტატები 3, მეკუპნავენი 13, დარაჯები 15, ელექტრონის სადგურის გამგე მექანიკი 5, მეთვალყურე 13, ელექტრ. ძალაზე მომუშავენი 14, დამბმარე 7, მუშა 102, პოლიტიკური კანტრალიორები 30, ელექტრ. ძალაზე მომუშავენი 5, უფროსი ტელეგრაფისტი 120, ტელეგრაფისტები 29, სათადარიგო ტელეგრაფისტები 90, ექსპედიტორი 35, მეელსმენე ქალები 12, ასლების გადამღები ქალები 11, ტელეგრაფის მოწაფეები 32, შიკრიკები 26.

**სამასალო ნაწილისათვის:** რევიზორები 2, მდივანი 1, ნაწილის უფროსი 1, თანაშემწე 2, ინჟინერი ტეხნიკურ დავალებისათვის 3, საქმის მწარმოებელი 10, მხაზველი 2, მოანგარიშე მოხელე 32, უფროსი მოანგარიშეები 6, მანქანაზე გადამწერნი 9, კანტორის მოხელე 83, აგენტები დავალებისათვის 7, გამკარგულებელნი 16, თარჯიმანი 1, აგენტები საგანგებო ანგარიშებისათვის 4, უბნის უფროსების თანაშემწენი 4, დესიატნიკები 9, საკუპნაოს დარაჯები და დამცველები 116, შიკრიკი 5, კანტორის გამგე 1, სათბობ მასალის საწყობის გამგე 9, თანაშემწეები 6, საკუპნაოს გამგეების თანაშემწე 13, მასალების მიმღები და გადასაგზავნის აგენტები 6, დამტარებელნი 3, ნავთის მიმღებნი 2, დამრიგებელნი 84, ნავთის ჩამომსხმელნი 7, მემანქანე 5, თანაშემწეები 31, მუშა 114.

**წევის ნაწილისათვის:** ნაწილის უფროსი 1, მოადგილე 4, ინჟინერი 6, ტეხნიკი 12, მხაზავნი 9, საქმის მწარმოებელი და თანაშემწეები 12, მწერლები 5, მოანგარიშე მოხელე 12, კანტორის მოხელე 125, მანქ. გადამწერნი 3, საუბნო ნაწილის უფროსი 1, თანაშემწე 2, დესიატნიკი 53, მემანქანე 2, დეპოს კაჩეგარები 6, მესანათე 6, დარაჯი და შიკრიკი 141, მემანქანე 327, თანაშემწე 361, მატარებლის კაჩეგრები 14, ორთქლმავლის გამწმენდავნი 26, წყალსადენის მემანქანენი 10, თანაშემწენი 25, წყალსადენი 25, წყალსადენის კაჩეგრები 61, მემანტიორე 6, მეაუზენი 54, ტეხნიკი-აგენტე-

ბი 68, წყალსადენის უფროსები და თანაშემწეები 92, გამცილებელნი 160, მთავ. სახელ. უფროსის თანაშემწენი 2, ინჟინერ-მექანიკი 1, ცეხების გამგეები 5, მათი თანაშემწე 2, ტყის მასალის მიმღები აგენტი 1, მანტიორი 11, მემანქანეები მუდმივი მანქანებისათვის 21, მათი თანაშემწენი 4, ტაბელჩიკი 31, მეკუპჭნავე 25, საოჯახო მაგიდის გამგე 2, ორთქმავლების ოსტატები 2, ვაგონების ოსტატები 6, ბრანდმეისტრები 10, მისი თანაშემწე 10, ცეცხლის მქრობელნი 110, საწყობის გამგე 1, მოძრავი ნაწილების მოხელე 2, რევიზორ-ინსტრუქტორი 1, სასწორის ოსტატი 2, მისი თანაშემწენი 3, შესაკრავი ნაწილების ოსტატი 15, ვალწიკების 10, ბანდაჟების ზეინკალი 19, ლოლბიოქნიკები 10, მეთუნუქენი 15, მჭედელი 95, მექვაბეები 186, მათი თანაშემწენი 133, კროველჩიკები 12, ბიტელჩიკები 15, მათი თანაშემ ენი 133, კროველჩიკები 12, ბიტელჩიკები 15, მათი თანაშემწენი 5, მექესტეები 8, მემოდელენი 2, მღებავი 3, ჩაქუჩის დამკვრელნი 125, გადამკვრელნი 9, დურგალი 34, ტეხნიკი 1, მხერხავები 4, რელსების ოსტატები 6, ზეინკალი 393, თანაშემწენი 267, ხარისხების გამნაწილებელნი 17, დურგლები 84, მხარშავები 14, ტოკრები 75, მისი თანაშემწენი 18, მოწაფეები 5, ფრეზერჩიკი 1, შავი მუშა 316, მილების გამწმენდავები 8.

გზ. უფროსი ლოდერი, გზ. კომ. ოსკანოვი».

ასეთია დაპყრობის სინამდვილე, რის მსგავსი არც ერთ დაპყრობილ ქვეყანაში არ მომხდარა.

მეფის მთავრობაც ცდილობდა წინეთ ქართული ელემენტი ნაკლებათ მიეღო რკ.-გზის სამსახურში, მაგრამ ასე შორს ეროვნულ დევნა-შევიწროებაში ის არასოდეს არ წასულა. ბოლშევიზმმა გადააჭარბა ცარიზმს.

ბოლო ხანებში ქართველ მუშების დევნამ მასიური ხასიათი მიიღო. ითხოვენ მუშებს, მოწინავე მუშებს, შტატის შემოკლების საბაბით ქუჩაში ყრიან ძველ მუშებს. მათ ადგილს იჭერს უცხოელები საეჭვო ღირსების სუბიექტები. აი, რას ვკითხულობთ ჩვენ სასამსახურო ბიულეტენის საადმინისტრაციო დამოკიდებულების ფურცელში: «თანახმათ დადგენილებისა, შტატის შესამოკლებლათ მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც მსახურებენ რკ.-გზის სამართველოში ქვემო მოყვანილი. პირები დათხოვნილი არიან სამსახურიდან (მოყვანილია გზათა მმართველობის მოსამსახურეები 26 კაცი) ა/წ. 9/10 და გადაცემული იქნებიან «ნარკომტრუდის» განკარგულებაში. 7/10 1921 წ. № 1210810.

ითხოვენ ქართველ მუშებს, ძველ მომზადებულ მუშებს. მართლა შტატს ამცირებენ. აბა გავეცნოთ სინამდვილეს. რას სწერენ შრომის ბირჟას.

«შრომის ბირჟას.

გთხოვთ გამოგზავნოთ რკინის-გზათა ექსპლოატაციის პირადი შემადგენლობის კანტორისათვის 10 კანტორის მოხელე რომელთაც უეჭველად საფუძვლიანათ უნდა ჰქონდეთ შესწავლილი სახელმწიფო ენა და აგრეთვე იყვნენ ხერხიანი მცოდნე საკანტორო საქმის წარმოებისა.

მისამართი: რკ.-გზის ექსპლოატაციის პირადი შემადგენლობის კანტორა.

ექსპლოატ. უფროსი ვიზერი.

ნაწილის უფროსი ჩხეიძე.

(11/10-21 წ. № 7736)».

ეს ცოტაა ერთი კვირის განმავლობაში რკ.-გზიდან 165 მუშა დაითხოვეს და მერე ვისი ბრძანებით?

ვნახოთ რას სწერენ როსტოვიდან:

«როსტოვი (ოლქის უფროსს) 103383. თქვენ მიერ გადმოყვანილი ექსპლოატაციის აგენტები ვლადიკავკავის რკინის-გზებიდან ამიერ-კავკასიის რკ.-გზებზე, რომლის ცნობა მე მივიღე, რადგანაც არ მაქვს მათი სამსახურის სტაჟის შესახებ არავითარი ცნობა,—მე წინასწარ არ შემიძლია დავნიშნო ისინი ამა თუ იმ თახამდებობაზე. გამოგზავნილი აგენტები უნდა მოვიდენ თფილისში სამგზავრო და საბარგო ბილეთები უნდა მისცეს კავკავის გზის სამართველომ. ამათ გარდა საჭიროა კიდევ ამიერ-კავკასიის გზებისათვის: (სადგ. უფროსები) 10, (სადგ. უფროსის თანაშემწენი) 50 40, შემდგენნი 55, გადამბელნი 52, მეისრენი 250, მატარებლების გამცილებელნი (პროვოდ.) 32, სიგნალისტები 10, ორთქ. გამწესრიგებელნი 15, კანტორის მოხელეები 30, უფროსი კანდუქტორები 50, საბარგო კონდუქტორები 60, წერილების დამტარებელი 3, ფერშლები 17, მემუხრუჭენი 200.

სხვა სამსახურისათვის საჭირო მოსამსახურეთა რიცხვს ამასთანავე გიგზავნით ფოსტით.

გზების უფროს ლედერი.

გზების კომისარი ოსკანოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ფოსტა-ტელეგრამა № 103383. ტიხორეცკაია, კავკაზსკაია, კრასნოდარი, ცარიცინი, ეისე, არმავირი, მინერალური წყლები, ყველა სადგურის უფროსებს. საუბნო პროფ. კავშირებს, რკ.-გზის ჩეკას. ასლი თფილისს. რადგანაც ძლიერი მოთხოვნილებაა რკინის-გზის აგენტებისა ამიერ-კავკასიის რკ.-გზებზე და აქ კი თანახმათ შრომის კომისრის განკარგულებისა ხდება შტატების შემოკლება,—ამიტომ გადაგზავნეთ თფილისში შემდეგი აგენტები შემდეგი სადგურებიდან: ტინგუტი-ზდორიკოვი, გრემიაჩაია-კორპენკო, გროშუნი-გრიგორიევი, პროლეტარსკაია-ტრიფონოვი, კუბერდე-კამაროვსკი, გოშუნ-დიმიტრიევი, ელმუტიდემენტიევი, დერევიანსკაია-ხრისტენკო, სტარომინსკაია-აზნაუროვი, მოზდოკიდან-ლოგერი, ყველა ეს განყოფილებიდან 4, არმავირიდან 5, ბუროვსკი, პოტდიტელნი, ივანოვი, მილნოვი, ფონკევიჩი, ვისენსკი, პრომენკო, პლოტნიროვსკაია-რეინოვი, კონდუქტორებიდან, რომლებიც შტატების შემოკლებაში მოჰყვნენ ტიხორეცკაიადან 9, კავკაზსკაიადან 24, კრასნოდარიდან 26, ცარიცინიდან 11, სულ 71. დათხოვნილებიდან აგრეთვე გაგზავნეთ თფილისში მოძრაობის ნაწილის განკარგულებაში გადამბელნი 15, მეისრეები 47. დანიშნულები საჩქაროთ უნდა გაიგზავნონ თფილისში. რკინისგზის ჩეკებს ევალება თვალყური ადევნონ, რომ გადმოგზავნილი პირები არსად წავიდენ. ეცნობოს თფილისს დღე მათი გამგზავრებისა.

ხელს აწერენ: (ოლქის უფროსი), (ოლქის კომ.)

რკინის-გზის ოლქის სამართველოსაგან.

225 (5)9 14 საათი 45 წუთი. შემ. № 8044.

თფილისი (გზების უფროსს)

8/9 გამოგზავნილი დეპეშისა № 103383 გაცნობებთ, რომ გადმოყვანილია ამიერ-კავკასიის გზებზე კავკავის რკ.-გზების შემდეგი აგენტები: —3, —15, შემდგენელნი 7, გადამბმელნი 16, მეისრეები 47, ამის გარდა წინადადება გეძლევათ იმ აგენტებს, რომლებიც კავკავის გზებიდან დროებით მივლინების სახით არიან გადმოგზავნილი ამიერ-კავკასიის გზებზე მისცეთ ნამდვილი სამსახურის ადგილი და დაიტოვოთ იქ. გამოარკვიეთ მათი დანიშვნის ადგილები და გადმოგზავნეთ სამგზავრო ბილეთები კავკავის რკინას-გზის სამართველოში მათი ოჯახების გადასაცემათ. ამ რიგათ კავკავის გზებიდან გადმოყვანილი იქნება თქვენთან 50% მეტი ვინემ თქვენ გამოითხოვეთ. გვაცნობეთ დაჩქარებით კიდევ რამდენია საჭირო მოსამსახურეები აღნუსხვით—რა და რა თანამდებობაზე არიან საჭირონი. აგრეთვე მიიღეთ მხედველობაში შრომის კომისრის მიერ გამოცემული განკარგულება შტატების შემოკლების შესახებ და სისწორით განსაზღვრეთ, თუ რამდენი იქნება საჭირო.

მოადგილე მეტოვსკი. მოადგილე ბორისოვი.

ლედერის რეზოლიუცია: სასწრაფოთ: 1. მომეცით სასწრაფო ცნობები თუ სად და რომელ სადგურებზე იქმნას დანიშნული კავკავიდან გამოგზავნილი პირები. 2. ეხლავე დანიშნეთ ადგილებზე კავკავიდან მოვლენილი აგენტები.

მადა ჭამის დროს მოდისო ნათქვამია. მოსკოვის აგენტები აღარაფერს ერიდებიან. ტერორის საშინელმა რეჟიმმა, ნაციონალურმა დევნაშევიწროვებამ, ცხოვრების გაძვირებამ და სხვა უკუღმართობამ მუშები აიძულა ოქტომბრის ბოლო რიცხვებში საქართველოს რევკომისათვის განცხადება გადაეცათ, სადაც აღნიშნული იყო საოკუპაციო ძალა-უფლების ყველა დანაშაულობანი. ამას მოჰყვა მუშათა დელეგატების დატუსაღება, რამაც გამოიწვია მუშების ერთი დღით საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა და მიტინგები 1 ნოემბერს.

გაბრაზებული ბოლშევიკები შეუდგნენ მასიურ დატუსაღებას. 8 ნოემბრამდე მარტო თფილისში დაატუსაღეს 400 კაცი, პროვინციაში 1000-დე. გააძლიერეს აგრეთვე რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეებისადმი დაწყებული დევნა.

9 ოქტომბერს, თფილისში დაითხოვეს 160 ძველი მუშა შტატის შემოკლების სახით, მხოლოდ 3 დღის განმავლობაში მათ ადგილას ახლები (უცხოელები) მიიღეს. კახეთის გზიდან დაითხოვეს 100 კაცი. განზრახულია ათასობით სხვების დათხოვა.

ასეთია ოკუპანტების მოქმედება და მთელი ეს სისაძაგლე ხდება სოციალიზმისა და პროლეტარიატის სახელით. მოსკოვის გაკოტრებულმა დიქტატორებმა ქართველ მუშებისა და მთელი ქართველი ერის დევნაში გადააჭარბეს აღმოსავლეთის დამპყრობელების შემოსევას და რუსეთის მეფეების შევიწროებას.

ეს ფაქტები ჩვენ გამოგვაქვს ევროპის მუშებისა და მთელი განათლებული კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე.

დეე, ყველამ დაინახოს, თუ როგორი ტირანია და თავაშვებული რეაქცია იმალება საბჭოთა ძალა-უფლების მანტიის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ამბები.

**სერ. ორჯონიკიძის განცხადება.** ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისში მოხდა კომუნისტების პასუხისმგებელ მუშაკების საგანგებო კრება, რომელზედაც მოსკოვის წითელ იმპერიალისტ. წარმომადგენელმა ორჯონიკიძემ გააკეთა მოხსენება და თავის ამხ. განუცხადა: «თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ საქართველოში ხიშტით შემოვედით, ხიშტით შემოსულები კი არავის შეუყვარებია. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს ვძულვართ, მიუხედავათ ამისა ჩვენ უნდა მივაღწიოთ განსაზღვრულ მიზნებს. ამისთვის გვაქვს ძალა და აქ ოპია. ომის დროს კი, შებრალება არ შეიძლება. უნდა მოისპოს მოწინააღმდეგენი და თქვენ, ამხანაგო ბუდუ მდივანო, ვერ გაამართლეთ ჩვენი იმედები, ვერ აასრულეთ ჩვენი დავალებანიო».

ამაზე მდივანმა უპასუხა: «ამხ. ორჯონიკიძის განცხადებაზე მაქვს პატივი მოვახსენო კრებას, ზომები მიღებული მაქვს და ბრძანებაც გაცემულიაო».

ბ-ნ მდივანს შეუძლია დასამტკიცებლათ მოიყვანოს საქართველოს ციხეები და ჩეკების სარდაფები.

**საარჩევნო «სამზადისი».** ნოემბრის 20 რიცხვიდან საქართველოს კომუნისტები საარჩევნო სამზადისს შეუდგენ. არჩევნების წინ ხდება «შტატის შემოკლების» სახით მუშა-მოსამსახურეთა მასიური დათხოვნა. ითხოვენ უმთავრესათ ქართველებს და მოწინავე მუშებს. ამავე დროს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას აძლევენ ყველა უცხო ელემენტებს, რომელთა რიცხვი ყოველ დღე იზრდება.

26 ნოემბერს, სოვნარხოზის შენობაში არაქელას მეთაურობით გამოცხადდა კომუნისტების ჯგუფი, ჩაკეტა კარები და დაემუქრა მუშა-მოსამსახურეებს, მენშევიკების არჩევა არ გაბედოთ, თორემ ყველას ჩეკაში გაგზავნითო. მიუხედავათ ამისა, არაქელას რეზოლიუციამ მხოლოდ 8 ხმა მიიღო.

2 ნოემბერს სამხედრო მასალის დასამზადებელ ქარხანაში გამოცხადდენ კომუნისტები, მოუყარეს მუშებს თავი და ყველასთვის მოულოდნელათ მისცეს მათ წინადადება მოეხდინათ საბჭოს არჩევნები. ამავე დროს მუშებს არ მისცეს ლაპარაკის და თავისი სიის წამოყენების ნება. უყარეს კენჭი, კომუნისტების კანდიდატს 120 მუშიდან მხოლოდ 10 კაცმა მისცა ხმა. მიუხედავათ ამისა, კომუნისტებმა იგი გამოაცხადეს არჩეულათ.

ასე ხდება საქართველოს «მუშათა დეპუტატების საბჭოების არჩევნები.

**არჩევნების ბოიკოტი.** საბჭოების არჩევნების წინ ბოლშევიკებმა განსაკუთრებით გააძლიერეს რეპრესიები. მთელს საქართველოში დაატუსაღეს თითქმის ყველა მოწინავე მუშები და გლეხები, ციხეები რომ აღარ ეყოთ, კერძო შენობები გადააქციეს ციხეთ და იქ მოათავსეს ხალხის საუკეთესო შვილები. ამასაც არ დასჯერდენ და აკრძალეს სოც.-დემოკრატიის და უპარტიო მუშების სიის წამოყენება, და აგრეთვე კრებებზე მათ წინააღმდეგ რაიმე კრიტიკის წარმოება. მათი წყალობით მთელი ქართველი ხალხი უფლება აყრილი შეიქნა. ამის გამო საქართ. სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხს ბოიკოტი გამოუცხადონ არჩევნებს და არ მიიღონ მასში მონაწილეობა. ეს მოწოდება ამავე ნომერში იბეჭდება და მკითხველი აქედან აშკარათ დაინახავს, თუ რატომ გამოუცხადა ბოიკოტი არჩევნებს იმ პარტიამ, რომელიც ყოველთვის იღებდა მონაწილეობას არჩევნებში.

**ქართული ენა.** ქართული ენის დევნა გრძელდება, ქართველების დათხოვნასთან ერთათ იგიც იდევნება დაწესებულებებიდან. რევკომის ერთმა წევრმა შეკითხვაზე თუ რატომ ხდება ასე, აშკარათ განაცხადა—გვინდა იყოს დაცული ქართული ენა, მაგრამ მდგომარეობა გვაიძულებს ვაწარმოვოთ საქმეები რუსულათ, რადგან საიმედო ადგილებს ქართველებს ვერ ვენდობითო. უკანასკნელ ხანებში რუსის მოხელეებს პროვინციებში დაუწყეს დანიშვნა.

**კრებაზე დაპატიმრება.** 25 ნოემბერს ნაშუადღევის 1-ლ საათზე ტფილისში მოხდა «მედიკო-სანიტართა» განყოფილების მოსამსახურეთა კრება ადგილობრივი მესტკომის ასარჩევათ. კრების გახსნის წინ დააპატიმრეს პ. ბერეჟიანი. თავმჯდომარემ, კომუნისტმა ცომაიამ განაცხადა, რომ ლ. იაშვილმა მაცნობა ორჯერ, რომ ბერეჟიანი საბჭოთა ხელისუფლებისთვის არ არის საიმედო პირიო. ამან დიდი აურზაური გამოიწვია. კრებამ გააშავა კომუნისტების წამოყენებული სია და თავისი საკუთარი კანდიდატები აირჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სვანეთის გარშემო.** სვანეთში მდგომარეობა თანდათან გართულდა. სვანები იარაღით უწევენ წინააღმდეგობას კომუნისტების წითელ ჯარებს და არ უშვებენ შიგ. ბოლშევიკები გზავნიან ახალ-ახალ ნაწილებს მისახმარებლათ. უკან მოჰყავთ დიდძალი დაჭრილი წითელი არმაელები. ამბობენ, რომ ბოლშევიკებმა სვანებთან ბრძოლაში 500 კაცი დაკარგესო.

**შორაპნის მაზრა.** ამ მაზრაში კომუნისტებს არავითარი გავლენა არ აქვთ. მაზრა ხელში უჭირავთ ცნობილ ყაჩაღებს, როგორიც არიან გემი «მარიას» გამცარცველი მანწკავა და ცნობილი ყაჩაღები ნებიერიძე და ბარბაქაძე. პირველი სამხედრო კომისრათ არის, ხოლო მეორენი მილიციას უდგანან სათავეში. მათი თვით ჩეკასაც კი ეშინია.

**ახალციხე.** ახალციხეში სომხებმა განიზრახეს გიმნაზიის ჩამორთმევა ქართველებისთვის. ამის შესახებ მასწავლებლებმა და მშობლებმა მოიწვიეს ნება-დართული კრება. კრებაზე მოულოდნელათ გამოცხადდა ადგილობრივი გარნიზონის უფროსი გალეშილი, კრება დაშალა და უბრძანა—მასწავლებელი სომხებს ჩააბარეთო. კრებამ პროტესტი განაცხადა. მეორე დღეს დაიჭირეს 3 მასწავლებელი.

# საბჭოთა რუსეთში.

## ბრძოლა ორ ბანაკს შორის.

რუსეთის კომუნისტები რაც შეიძლება ცდილობენ «შინაური უთანხმოება» გარეთ არ გამოიტანონ და მტერი არ გაახარონ. მიუხედავათ ამისა ჭირი მაინც თავს არ მალავს. «ახალი ეკონომიური კურსის» გარშემო დიდი შეხლა-შემოხლა არის. «ახალი კურსის» დამცველთა მიმდინარეობას ხელმძღვანელობს ლენინი, ხოლო მოწინააღმდეგეს—ბუხარინი. უკანასკნელები ბრალს სდებენ ლენინს მასში, რომ მან თავის გარშემო შემოიკრიბა ბნელი ელემენტები, რომელთაც არაფერი არ აქვთ საერთო კომუნიზმთან და რომლებმაც თავის მაჩანჩალათ გახადეს საბჭოთა ძალა-უფლება. ბუხარინის ჯგუფი ზოგიერთებს ბურჟუაზიის მიერ მოყიდულათ აცხადებს. ასეთათ მიაჩნიათ მათ კრასინი, რომლის გავლენითაც მოხდა დეკრეტის გამოცემა. «საბჭოთა მთავრობა მოლიპულ გზას დაადგა და დაღუპვა მოელის», გაიძახის ბუხარინი. ამბობენ, რომ მემარცხენე კომუნისტებმა არალეგალური ორგანიზაცია შექმნეს და არალეგალურ ლიტერატურასაც უშვებენო.

ვინ გამოვა ამ ბრძოლაში გამარჯვებული? ალბათ ლენინი, რადგან დზერჟინსკი თავის ჩეკით მას უჭერს მხარს.

## ლენინი არ უთმობს.

ლენინმა თავისი განკარგულებით გადააყენა უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე ბუხარინის ჯგუფის მომხრე ბოგდანოვი და მის ადგილას დანიშნა თავისი პირადი მეგობარი მემარჯვენე კამუნისტი რიკოვი. ბოგდანოვს ბრალს სდებენ არაკეთილსინდისიერათ უცხოელ კონცესიონერებთან მოლაპარაკების საქმეში. ბოგდანოვის გადაყენებას თან მოყვა მისი რამდენიმე თანამშრომლის დაჭერა. ამ აქტმა კიდევ უფრო გაამწვავა ამ ორ მიმდინარეობას შორის დამოკიდებულება.

## ტროცკი არ არის კარგ გუნებაზე.

გაზ. «ბერ. ტიდენტში» დაბეჭდილია ტროცკის შემდეგი სიტყვა: «ჩვენ, განუცხადებია ტროცკის, ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავრწმუნდეთ, რომ მუშათა კლასი ვერ შესძლებს კაპიტალისტური წესწყობილების უცებ დამხობას. ჩვენ უნდა ვემზადოთ ხანგრძლივი ბრძოლისთვის. თუ იმპერიალისტები დარწმუნდენ, რომ ბოლშევიზმი მათ არ უმზადებს ახლო მომავალში პირდაპირ საფრთხეს, მაშინ ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფონი დაიჭერენ ჩვენთან სავაჭრო დამოკიდებულებას, მარა იგივე სახელმწიფონი შეეცდებიან ჩვენს დამხობას. მათ საწინააღმდეგოთ ჩვენი მთავარი იარაღი—წითელი არმია არის, მარა სამწუხაროთ უნდა ვაღიარო, რომ მე მაქვს მიღებული ცნობები ყოველი კუთხიდან, რომ წითელ არმიაში ამ ჟამათ გამეფებულია სრული უწესრიგობა. ამიტომ საჭიროა მიღებული იქნეს ზომები რათა მოხდეს არმიის სრული რეორგანიზაცია. მეორეს მხრით არც ფლოტი არის სანუგეშო მდგომარეობაში, მისი თავისუფლათ მიმოსვლა მოკასპარია ინგლისის ბატონობის წყალობით. ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ჩვენი ნაპი-

რების დაცვით». ჩვენ ვფიქრობთ, რომ პატარახნის შემდეგ ტროცკი კიდევ უფრო ცუდ გუნებაზე იქნება.

## წითელი არმია.

მოსკოვიდან გამოქცეულთა სიტყვით წითელი არმიის მდგომარეობა ბოლშევიკებისთვის არც ისე სანუგეშოა, როგორც ეს გარეგნულათ სჩანს. არმია ემორჩილება მათ მანამ, სანამ ყველაფერი აქვს და არაფერს უშლიან. ტროცკი ამას გრძნობს და ამიტომ მოსკოვში თავი მოუყარა კომუნისტურ ნაწილებს, რომლებიც ყველაზე უკეთ არიან უზრუნველ ყოფილი. დანარჩენი ნაწილები არმიელებისა დიდ გაჭირვებას განიცდიან და არაფერი საკმარისათ არ აქვთ. მართლია საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ კარგათ დააყენოს არმიის ჩაცმისა და გამოკვების საქმე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, საინდენტანტო ძლიერ მოიკოჭლებს. სხვა ნაწილებს კავალერია სჯობია კიდევ, მაგრამ ამ უკანასკნელათ იგიც ძლიერ დაზარალდა ცხენების დახოცვის გამო.

## ომისთვის ემზადებიან.

საზღვარ-გარეთ მოსკოვიდან მიღებული კერძო ცნობით, იქ უნდა მომხდარიყოს სოვნარკომის, საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და მთავარ სარდლობის შეერთებული საიდუმლო სხდომა, რომელზედაც გამომუშავებული იქნა საომარი გეგმა პოლონეთისა და რუმინიის წინააღმდეგ. ამ გეგმის თანახმათ ომი უნდა დაიწყოს გაზაფხულზე.

## გაზეთი „ტანი" და კრასინი.

დეკემბრის პირველ რიცხვებში ინგლისის მთავრობამ ნება დართო ბოლშევიკების წარმომადგენელს კრასინს წაეკითხა ოკსფორდის უნივერსიტეტში მოხსენება რუსეთის დამშეულთა დახმარების შესახებ. კრასინმა ისარგებლა ამით და თავის მოხსენებაში დაიწყო იმის მტკიცება, რომ ევროპამ აუცილებლათ უნდა იცნოს რუს. საბჭოთა მთავრობა და უნდა მისცეს მას სესხი, ვინაიდან იგი რუსეთის ხალხის მიერ შექმნილი მთავრობა არის. თუ ეს ასე არ მოხდა, ისე კერძო დახმარებანი დამშეულ რუსეთს არ უშველისო.

ამის გამო პარიზის გაზეთი «ტანი» სწერს: ჩვენ არ გამოუდგებით ბ-ნ კრასინის სიტყვის დაწვრილებით განხილვას, ხოლო აღვნიშნავთ, რომ თვით ნიადაგი, რომელზედაც კრასინი სდგას არის ყალბი. ლენინისა და ტროცკის მთავრობა სრულებითაც არ არის რუსეთის ხალხის მიერ შექმნილი, როგორც ამას იგი ამტკიცებს. იგი ძალით მოახვიეს რუსეთის ხალხს, რომელსაც წინდაწინ აყარეს პირადი და პოლიტიკური უფლება. ჩეკის, ტერორისა და წითელი არმიის გარეშე ეს მთავრობა ვერ იარსებებს ვერც ერთ თვეს. ერის მცირე უმცირესობას, როგორიც არიან ბოლშევიკები, სჭირდება წითელი არმია და ჩეკა თავის ბატონობისთვის, ამიტომ იგი მას სწირავს მთელი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებსო».

## აჯანყება კარელში.

ნოემბრის შუა რიცხვებში კარელში იფეთქა აჯანყებამ. პირველათ აჯანყება დაიწყო აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ მან ფართო ხასიათი მიიღო და მთელს მხარეს მოედო. პირველათ აჯანყებულებს ყავდათ ორი ათასი კაცი, მაგრამ მერმე აჯანყებულთა რიცხვი გაიზარდა და რუს. საბჭოთა ჯარები ბევრჯერ სასტიკათ დაამარცხა. ბოლშევიკების დიქტატორი გალლინგი იძულებული გახდა მთავრობის მთელ შემადგენლობასთან ერთათ გაქცეულიყო პეტერბურგში. 17 ნოემბერს აჯანყებულები გადავიდნენ მდინარე სვირზე და ააფეთქეს რკინისგზის ხიდი, ხოლო ოლონეცკის გუბერნიაში ალყა შემოარტყეს 240 კომუნისტსა და ამოწყვიტეს.

ამავე დროს აჯანყებულებმა კარელის ხალხის სახელით მიმართეს ფინლიანდიას დახმარებისთვის. ფინლიანდიის მოქალაქენი მათ მოწოდებას თანაგრძნობით შეხვდენ და შეუდგენ დახმარების შეგროვებას.

აჯანყებულები მოითხოვენ აგრეთვე მათ საქმეში ჩაერიოს «ხალხთა ლიგა».

ყველა ამის გამო მოსკოვის დიქტატორები ცუდ გუნებაზე დადგენ. ჩიჩერინმა 5 ჯერ მიმართა ფინლიანდიას ნოტით. უკანასკნელ ნოტაში იგი სასტიკ პროტესტს აცხადებს «ხალხთა ლიგის» მიერ კომისიის დანიშვნის წინადადების შესახებ, იგი ამაში საბჭოთა რუსეთის სუვერენულ უფლებების შებღალვას ხედავს და მოითხოვს ფინლიანდიისგან საზღვრების უზრუნველყოფას, აჯანყებულებისთვის დახმარების აღმოჩენის შეწყვეტას და კონტრ-რევოლიუციონერების ფინლიანდიიდან გაძევებას.

ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით გამარ-

ჯვება აჯანყებულთა მხარეზეა და ფინლიანდიაც ჩიჩერინის მოთხოვნილებებს არ ასრულებს.

**აჯანყება არხანგელის გუბერნიაში.**

პარიზის რუსული გაზეთების გადმოცემით დეკემბრის პირველ რიცხვებში არხანგელის გუბერნიაში იფეთქა აჯანყებამ. სოფლებში აჯანყებულებმა გარეკეს საბჭოები და დახოცეს კომუნისტები.

ამავე გაზეთებს საიმედო წყაროებიდან ატყობინებენ, რომ არხანგელსკიდან გარბიან კომისრები და კომუნისტები, ვინაიდან ძლიერ ეშინიათ წითელი ჯარის მათ წინააღმდეგ გამოსვლისო.

# უკრაინაში.

## განმათავისუფლებელი მოძრაობა უკრაინაში.

ბოლშევიკები და მათი ამყოლ დამყოლნი ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ რუსეთის «დაწყნარებაზე» და შინაურ ფრონტების განადგურებაზე. მოსკოვის დიქტატორებს თავი მოაქვთ იმით, რომ საბჭოთა ხელის უფლება ერთათ-ერთი ძალა არის რუსეთში, რომელიც სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ქმნის და ანარქიას სპობს. ამისთვის მოსწონთ «ახალ ვეხელებსაც» ბოლშევიკები და მოითხოვენ მათთან შერიგებას. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის, რუსეთი არ დაწყნარებულა, იქ ისევ ანარქია სუფევს და პარტიზანობის სახით ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა მუდამ სწარმოებს. ზოგან ეს ბრძოლა ფართო ხასიათსაც ღებულობს. ამ მხრივ უკრაინაში მომხდარი უკანასკნელი აჯანყება პირველ რიგში უნდა დავაყენოთ. თუ რამდენათ სერიოზულია ეს მოძრაობა და როგორ საფრთხეს უქადის მოსკოვის სოვნარკომს, ეს შემდეგიდან სჩანს.

აჯანყება დაიწყო ნოემბრის პირველ დღეებში გენერლებ: ტიუტინუიკის და იანჩენკოსა და პოლკ. სტუპნიცკის პირდაპირი ხელმძღვანელობით, რომლებიც საერთოთ ემორჩილებიან პეტლიურასა და მის შტაბს. აჯანყებულები თავიდანვე კარგათ იყვენ შეიარაღებული, როგორც თოფებით, ისე ტყვიის-მფრქვეველებითა და ზარბაზნებით.

28 ოქტომბერს ღამით პეტლიურას მეოთხე პოლკი რიცხვით 600 კაცი პოლონეთის მხრიდან შემოიჭრა გუსიატინაში და დაიჭირა რკინის-გზის სადგური ერმოლინცი. ამავე დროს რაზმა გადმოლახა ოლევსკა და უნდოდა დაეჭირა კოროსტენი. ბოლშევიკებმა მაშინვე გადაისროლეს აქეთკენ საუკეთესო პოლკები, მაგრამ აჯანყების შეჩერება ვერ შესძლეს. 8 ნოემბერს დილით ადრე გენერალ ტიუტიუნიკის ხელმძღვანელობით 3000 კაცმა გააკეთა ღამით 70 ვერსი და დაიკავა კოროსტენი. აჯანყებულთა ცხენოსანმა ჯარმა შემოუარა მას ზორიდან და პირდაპირ შეიჭრა კოროსტენში. იგი მოულოდნელათ დაესხა თავს მილიციის ბინას და მთელი შემადგენლობა მილიციისა დაატუსაღა. აქედან რაზმის უფროსი წავიდა მილიციის უფროსის ბინაზე, დაატუსაღა იგი და ძალით აიძულა ეთქვა ღამის პაროლი და ეჩვენებია პოსტები. რაზმის უფროსმა მოხსნა ყველა პოსტები და მით საშვალება მისცა აჯანყებულთა მთავარ ძალებს შემოსვლის. წინა დღით კიევიდან მოსული ორი ეშელონი სადგურზე იქნა აჯანყებულებისგან თოფ-გაუსროლელათ განიარაღებული. ხოლო წითელი არმიის იქ მდგომმა მე-132 ბრიგადამ კი, დიდი წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლო. შეშინებული ბრიგადის უფროსი მოაჯდა ცხენს და გაიქცა ადგილობრივ ჩეკაში. მან არ იცოდა, რომ ამ დროს ყველა ჩეკისტები უკვე დახოცილი იყვენ, ხოლო ჩეკის მიერ დაჭერილი 600 კაცი უკვე განთავისუფლებული იყო. ბრიგადის უფროსმა მიაგდო ცხენი ჩეკის შენობასთან და მოითხოვა ჩეკის თავმჯდომარე. აჯანყებულების სოტნიკმა მორკევიჩმა ჰკითხა ბრიგადის უფროსს თუ ვინ იყო იგი და რარომ გაიგო მისი ვინაობა, ესროლა რევოლვერიდან და იქვე მოკლა, თვითონ შეჯდა მის ცხენზე და განაგრძო ყარაულობა. ამ გვარათ 3 საათის განმავლობაში აჯანყებულებმა მთელი ქალაქი გასწმინდეს ბოლშევიკებისგან.

12 ნოემბერს ღამით ტიუტიუნიკის მოწინავე რაზმმა დაიკავა ტეტერევი და ტრუბეცკაია. ბოლშევიკების მე-397 პოლკის ბატალიონები, რომლებიც ამ სადგურებს იცავდენ, მალე იქნენ დამარცხებულნი. სადგ. ტრუბეცკაიას აღების დროს მოვიდა დეპეშა, რომ მახლობელ სადგურიდან გამოვიდა მატარებელი. აჯანყებუ-

ლების ხელმძღვანელმა საჩქაროთ გაგზავნა წინ შეიარაღებული რაზმი, რადგან ეგონა ბრონევიკი-მატარებელი, მაგრამ მის მაგიერ სამგზავრო მატარებელი აღმოჩდა. მატარებელი გააჩერეს, 30 კაცს აღმოაჩდა კომუნისტების ბილეთები. აჯანყებულებმა კომუნისტები იქვე დახოცეს, ხოლო მგზავრები გაუშვეს.

12 ნოემბერსვე ღამით აჯანყებულთა 1000 კაცისგან შემდგარმა რაზმმა დაიკავა ოლესკო. ამ დროს კომუნისტებს სადამო ქონდათ გამართული, ყველას იქ მოეყარათ თავი და ქეიფობდენ. აჯანყებულებმა საჩქაროთ შემოარტყეს შენობას ალყა და ყველა კომუნისტები იქვე გასწყვიტეს.

17 ნოემბერს რადომისლის ტყეში, სადაც იმყოფებოდა გენ. ტიუტიუნიკი და აჯანყებულთა მთავარი შტაბი, მოხდა ყველა ძალების გაერთიანება. მთავარ შტაბს შეუერთდა შემდეგი ძალები: 1) ატამანი ორლოვი 400 ქვეითით და 200 ცხენოსნით. იგი ტეტერევის რაიონში მოქმედებდა. 2) რადომისლის რაიონიდან—ატამანი მარდალევიჩი 600 კაცით. (ხმები იყო, რომ თითქოს ამ უკანასკნელმა უღალატა აჯანყებულებს და მისი ადგილი დაიკავა როტმისტრ ვერხოპოვსკიმ). 3) ატამანი ხორნი—500 ქვეითით და 250 ცხენოსნით. 4) ჩერნობილის რაიონიდან პოლკ. კლემენკო—1000 კაცით. 5) ბოროდიანკის რაიონიდან—პოლკ. ბოგატევიჩი 400 კაცით.

ყველა ეს ნაწილები ტიუტიუნიკის პირადი ხელმძღვანელობით გადავიდენ დნეპრის მარცხენა ნაპირზე და დიდი ზარალი მიაყენეს ბოლშევიკებს.

19 ნოემბერს ქ. ტირასპოლის რაიონში გაჩნდა ატამანი გულია თავისი რაზმით. მან ჯერ დაიკავა სოფელი პარკანი, ხოლო 21 ნოემბ. კრასნაია გორკა, რომელიც ტირასპოლზე 12 ვერსით არის დაშორებული. აჯანყებულებმა ყველგან გასწყვიტეს კომისრები და მერმე მიადგენ თვით ქალაქს.

ამავე დროს აჯანყებულთა სხვა რაზმებმა დაიკავეს ჟიტომირი, ქმერნიკა და დაიწყეს მოქმედება მოგილიევ-პოდოლსკის რაიონში.

საბჭოთა ჯარებს აჯანყებულების წინაღმდეგ ხელმძღვანელობს კერენსკის მთავრობის ყოფილი სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი და ცნობილი ფრუნზე. საბჭოთა ქვეითა ჯარები, რომლებიც არც ჩაცმული არიან კარგათ და არც შეიარაღებულნი, აჯანყებულთ დიდ წინააღმდეგობას ვერ უწევდენ. მათ პანიკა მალე იცავს. არტილერია ბოლშევიკებს მარტო ქალაქში ყავთ და სოფლისკენ გაგზავნის ეშინიათ. ყველაზე უკეთ მოქმედებენ ჩეკის ცხენოსანი რაზმები, რომლებიც კარგათ არიან ჩაცმული და შეიარაღებული და რომლებიც უმთავრესათ კომუნისტებისგან შესდგებიან. ყოველ 150 კაცზე არის 50 ხელის ტყვიის-მფრქვეველი. მაგრამ ცხენები აღარც მათ უვარგათ და ტეტერევსა და კორესტენთან ბრძოლებში ძლიერ დაზარალდენ.

ყოველივე ამან მოსკოვი ძლიერ დააფიქრა, ლენინსა და ტროცკის შორის უთანხმოებანი გვერდზე გადაიდვა, ისე როგორც ეს კრონშტანტის აჯანყების დროს მოხდა. კომუნისტებმა ყოველ ღონეს მიმართეს რათა გასრისონ აჯანყება, ისინი ყველას მოუწოდებდენ, «წასულიყვენ კომუნისტური უკრაინის დასახსნელათ». სოვნარკომმა გადასწყვიტა მოახდინოს დამშეულ გუბერნიებში დამშეულთა მობილიზაცია და შეუსიოს უკრაინას. თუ რამდენათ საშიში შეიქნა ბოლშევიკებისთვის უკრაინის აჯანყება, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მათ მოსკოვიდან გაგზავნეს ტყვიის მფრქვეველთა კომუნისტური პოლკი, რომელიც ჩეკის მთავარ ძალას წარმოადგენს.

უკანასკნელ ცნობით თავის დროზე უმოქმედობისთვის მოსკოვმა გადააყენა უკრაინის ნარკომ ვოენმორი ფრუნზე. იგი ანგორაში გაიგზავნა მოსკოვის წარმომადგენლათ.

აი ასეთია მოკლეთ უკრაინის უკანასკნელი აჯანყების მოკლე ისტორია. მიუხედავათ იმისა, რომ ბოლშევიკებს უკრაინაში და კერძოთ პოლონეთის საზღვრებზე დიდძალი და საუკეთესო ჯარები ყავდათ, მათ მაინც ვერ შესძლეს აჯანყებულთა განადგურება და მოსპობა. მართალია, უკანასკნელ დროს უკრაინის აჯანყებულთა შესახებ დაწვრილებითი ცნობები ძლიერ ცოტა არის, მაგრამ ერთი მაინც ცხადია—იქ პარტიზანული რაზმები ისევ მოქმედებენ და ასეთი ბრძოლები კიდევ დიდხანს გასტანს. როგორც კერძო ცნობებიდან სჩანს აჯანყების ხელმძღვანელთ არ აქვთ განზრახვა დაიკავონ რომელიმე ქალაქი, ან რაიონი და იქ გამაგრდენ. მათი გადაწყვეტილება არის პირველ ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებში პარტიზანული ბრძოლების წარმოება და ამ რიგათ ბოლშევიკურ ძალებში დეზორგანიზაციის შეტანა.

ვნახოთ რას გვეტყვის ახლო მომავალი ამის შესახებ.

### უკრაინის სოც.-დემოკრატია დამოუკიდებლობის შესახებ.

უკრაინის ს.-დემოკრატია უკანასკნელ დრომდის უკრაინის დამოუკიდებლობის წინაალმდეგი იყო. იგი სასტიკათ ებრძოდა «სამოსტინიკებს», და მსოფლიო ომის დროს უკრაინაში სოც.-დემოკრატია ერთათ-ერთი პარტია იყო, რომელიც გერმანიის იმპერიალისტების განზრახვებს წინ აღუდგა. «სამოსტინიკობისთვის» მათ გამორიცხეს პარტიიდან გამოჩენილი წევრი თავისი პარტიისა დანცოვი. ბოლშევიკების მიერ უკრაინის დაპყრობის შემდეგ უკრაინის სოც.-დემოკრატიამ თავისი ტაქტიკა შესცვალა ამ საკითხში და ეხლა უკიდურესი დამცველია დამოუკიდებლობისა. «თავის საოკუპაციო მუშაობით უკრაინაში, სწერენ ისინი, ბოლშევიკებმა გამოიწვიეს ნაციონალური შეგნების საოცარი ზრდა მთელს ხალხში და შექმნეს ნიადაგი «ნაციონალური ომისთვის» რუსეთსა და უკრაინას შორის».

ასეთსავე შედეგს იძლევა ბოლშევიკების მუშაობა ჩვენში.

### კომუნისტი უკრაინის შესახებ.

თუ როგორი მართვა-გამგეობა არის დამოუკიდებელ საბჭოთა უკრაინაში, ამას საუცხოვოთ ახასიათებს უკრაინელი კომუნისტის ვინნიჩენკოს წერილის შემდეგი ადგილი, რომელიც მოყვანილია «ვილ. უკრაინაში».

«საბჭოთა ხელის უფლება, სწერს ვინნიჩენკო, რუსეთსა და უკრაინაში არ არსებობს. აბსოლიუტური ცენტრალიზმის პრინციპი მართვა-გამგეობის ამ ფორმას სპობს. საბჭოები დეკორაციას წარმოადგენენ და მეტს არაფერს. უკრაინის კომ. პარტიის ცეკა არჩეული არ არის, არამედ დანიშნულია მოსკოვიდან. ხელმძღვანელთა ცენტრალურმა პოლიტიკამ მოსპო არა მარტო დამოუკიდებლობა უკრაინის, არამედ მისი თვითმოქმედებაც კი. მართალია ოფიციალურათ არსებობს საბჭოთა უკრაინის მთავრობა, მარა ის არ არის არჩეული და არც შედგენილიც კი ადგილობრივი კომპარტიისგან, არამედ დანიშნულია რუს. კომპარტიის ცეკის ადგილობრივი პოლიტიკური ბიუროსგან, რომელიც წარმოადგენს მოსკოვის ბიუროკრატიულ აპარატს ადგილობრივათო».

მოკლეთ რომ ვსთქვათ, უკრაინასაც ისე მართავენ, როგორც საქართველოს. იქ «პოლიტ-ბიურო» ყველაფრის ბატონ-პატრონი, ხოლო ჩვენში—«კავბიურო».

## საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესი.

შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის წლევანდელ კონგრესს საისტორიო მნიშვნელობა ექნება არა მარტო საფრანგეთის, არამედ აგრეთვე მსოფლიო სოციალიზმისათვის.

ნოემბრის კონგრესმა ცხად ჰყო ერთის მხრით საფრანგეთის პარტიის შინაგანი ერთობა, მეორე მხრით, ევროპის ყველა ქვეყნების სოციალისტთა ძლიერი ნება და მისწრაფება გაერთიანებულ ინტერნაციონალის შექმნისაკენ. საუბედუროთ, ერთიც და მეორეც სოციალიზმის უკანასკნელ წლების ისტორიას არ წყალობს.

დავიწყოთ ეროვნულ-ფრანგულ მომენტიდან.

მკითხველმა იცის, რომ გასული წლის კონგრესზე, ტურში, საფრანგეთის პარტია ორ თითქმის თანასწორ ნაწილად გაიყო: მოსკოვის კარნახით და კაშენ-ფროსარის მეთაურობით კომუნისტები გამოეყვნენ პარტიას. ამ რიგათ უკანასკნელი გაიწმინდა კომუნისტებისაგან და ეს მის გაჯანსაღებას მოასწავებდა. მაგრამ ამით უთანხმოება არ მოისპობილა. განახლებულ სოციალისტურ პარტიაში დარჩა ორი მიმართულება: ლონგესი და რენოდელის. უკანასკნელი წარმოადგენდა ჟორესის ტაქტიკურ ხაზს და «ობორონცობას». პირველი და მრავალრიცხოვანი მიმდინარეობა ემხრობოდა და ემხრობა ეგრეთ წოდებულ ორნახევარ (რეკონსტრუქტორების) ინტერნაციონალს, რომელსაც საკმაოთ არ დაუწყევია თავი ბოლშევიკურ ჰიპნოზისაგან. კონგრესის შემდეგ განვლილი წელი იყო ხანა განხეთქილებისაგან დასუსტებულ პარტიის ძალების ჩამოყალიბების და თვითგამორკვევის. ნოემბრის კონგრესმა ამ პროცესის შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოარკვია. აღმოჩნდა, რომ ორი ფრთა ერთმანეთს დაახლოვებია და სადაო იმდენათ ცოტა აქვთ, რომ რენოდელის ვრცელი სიტყვის შემდეგ შინაურ პოლიტიკის შესახებ, ლონგემ თავის სიტყვაზე უარი სთქვა და რეზოლიუციის პრაქტიკულ ნაწილს საფუძვლად დაედვა რენოდელის დებულებები. საფრანგეთის პარტია ქორესს უბრუნდება და რუსეთის «კომუნიზმთან» ყოველივე კავშირს სწყვეტს. დამახასიათებელია, რომ თავის სადღეისო რეზოლიუციას შინაურ პოლიტიკის შესახებ კონგრესმა წაუმძღვარა 1908 წელს ტულუზის კონგრესზე ერთხმად მიღებული რეზოლიუცია, რომლის ავტორიც ჟორესი იყო. ეს რეზოლიუცია წარმოადგენს ძველ მარქსისტულ ფორმულას, რომელშიაც შეთანხმებულია საბოლოო სოციალისტური გარდაქმნის მიზანი ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობით პარლამენტში, პროფ. კავშირებში, კოოპერატივებში და სხვ. საერთო დებულებებთან ერთად ნოემბრის კონგრესმა დაისახა პრაქტიკული პროგრამა უახლოეს დროისათვის («დადებითი საქმიანობის პროგრამა»), რომელიც შეიცავს შემდეგ დებულებებს:

1) ბრძოლა მსხვილი ინდუსტრიის დარგების სოციალიზაციისა და ნაციონალიზაციისათვის მუშათა კონტროლით.

2) ფინანსიური რეფორმა, რომლითაც გადასახადების სიმძიმე შეძლებულ კლასებს უნდა დაეკისროს.

3) სამხედრო სამსახურის შემცირება ჟორესის პროექტის მიხედვით (იხილე მის წიგნში «ახალი ლაშქარი»), საერთო განიარაღება.

4) სახალხო განათლების რეფორმა, მთლიანი შკოლა, უფასო ტეხნიკური და მეცნიერული განათლება.

5) კონსტიტუციის დემოკრატიზაცია, სრული განხორციელება ხალხის თვითმპყრობელობის პრინციპს პოლიტიკურ წყობილებაში, მუშათა ორგანიზაციების უფლებების ცნობა. (საინტერესოა, რომ კონგრესის მთავარი მომხსენებელი, რენოდელი, უკანასკნელ პუნქტს საქართველოს კონსტიტუციის და ჩვენ ქვეყანაში შექმნის საკონსტიტუციო ადათებით ასაბუთებდა. რენოდელის მიერ მოყვანილს მაგალითებს დემოკრატიულ საქართველოს პოლიტიკურ წყობილებიდან კონგრესი აპლოდისმენტებით ხვდებოდა).

ამნაირად, დღეს საფრანგეთის პარტია გაერთიანებულია არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ სადღეისო პრაქტიკულ კითხვებშიც,

ტაქტიკაში; შეკავშირებულია იდეურადაც
ბოლოოდ განთავისუფლებულია კომუნის-
ფრაზეოლოგიისგან, რაიცა მას გაუადვილ
ბრძოლას მარჯვნითაც და მარცხნითაც და
ძლებას მისცემს დაიჭიროს მას პოლიტ
ცხოვრებაში საფრანგეთის პროლეტარია
თვის შესაფერი ადგილი.

ამავე დროს, რამდენიმედ მოულოდნე
ამ კონგრესზე მოხდა მნიშვნელოვანი მანი
ტაცია საერთაშორისო სოლიდარობის.
შემდეგ, არც ერთ სოციალისტურ კონგრე
დასწრებია იმდენი უცხოელი სოციალის
სხვა და სხვა მიმდინარეობის გამომხატვე
რამდენიც ამ კონგრესს დაესწრო. იყო ინ
სის მუშათა პარტიის წარმომადგენელი
შაუ, ბელგიელი დებრიუკერი, ისპანიელი
ხოსლოვაკელი, ქართველი (ირ. წერეთ
შვეიცარელი, შვეციელი, ჰოლანდიელი და
მანიის დამოუკიდებელ პარტიიდან—მემარ
სოც.-დემოკრატი ლედებური. მათი მისალ
სიტყვები იყო გაერთიანებული ინტერნაც
ლის შექმნის სურვილის ერთსულოვანი
ხატულება. ამ კითხვაში განსხვავება სხ
სხვა მიმდინარეობათა შორის აღარ არსებ
აქ ერთი ენით ლაპარაკობდა როგორც შ
ის ზომიერი პარტიის წარმომადგენელი
უკიდურესი ლედებური. უცხოელ დელეგა
ასეთმა ერთსულოვანმა გამოსვლამ გამო
რენოდელის სიტყვა, რომლითაც მიმართ
დებურს, როგორც «ვენის ინტერნაციონ
წარმომადგენელს და მოუწოდა მას და მ
ხანაგებს პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა
ერთიანებული ინტერნაციონალის აღსად
საპასუხო სიტყვაში ლედებურმა გამ
რწმენა, რომ ახლო-მომავალში შეიძლე
დგეს საკონტაქტო ხელმძღვანელი ორ
საცა წარმოდგენილი იქნებიან ყველა ს
ლისტური პარტიები და რომელსაც შე
უხელმძღვანელოს საჭიროებისამებრ ს
სხვა ქვეყნების პროლეტარიატის საერთ
მოსვლას. ასეთივე ხასიათის დადგენილე
იღო კონგრესმა და უნდა ვიფიქროთ, რ
ლო მომავალში ვენა და ლონდონი (მეო
ტერნეციონალის ხელმძღვანელი ინგლის
შათა პარტია) აიღებენ ინიციატივას ს
სამოქმედო ხელმძღვანელ ორგანიზაციის
დგენათ, რომელიც იქნება მომავალ გაერ
ბულ ინტერნაციონალის საფუძველი.